



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

ქვემოქვეყნის მინისტრის განკარგულებაში

№13 (10.069)

22-29 აპრილი, 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ „მინისტრის სათის“ ფორმატში დეპუტატების წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი გარემოსდაცვითი პრიორიტეტია.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, მსოფლიოში ათიდან ცხრა ადამიანი დაბინძურებულ ჰაერს ისუნთქავს, რაც ყოველწლიურად საშუალოდ 7 მილიონი ადამიანის გარდაცვალების მიზეზია. ინსულტით, ფილტვის კიბოსა და გულის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მესამედი სწორედ ჰაერის დაბინძურებით არის განპირობებული. დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა დაკავშირებულია სხვა არაერთ დაავადებასთანაც. მათ შორის, მეორე ტიპის დიაბეტთან, ჭარბწონიანობასთან, ორგანიზმში მიმდინარე ანთებით პროცესებთან, ალცჰაიმერსა და დემენციასთან. მხოლოდ 2016 წელს ჰაერის დაბინძურებამ საქართველოში 6845 სიკვდილის შემთხვევა განაპირობა.

ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების ძალიან დიდი მასშტაბის გამო, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის ჰაერის დაბინძურება, რა იწვევს მას და როგორია საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით არსებული სიტუაცია.

რა არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება?

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება არის ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა (ემისია), რომელიც ახდენს ან რომელიმე შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ხდება როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წყაროებიდან. ამ უკანასკნელიდან რამდენიმე ძირითადი დამბინძურებელი შეგვიძლია გამოვყოთ: მრეწველობა, ავტოტრანსპორტი, ენერგეტიკა, ნარჩენები და სოფლის მეურნეობა. წინამდებარე სტატიაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გამომწვევ ორ მსხვილ პრობლემას - მრეწველობასა და ავტოტრანსპორტზე იქნება საუბარი, ვინაიდან საქართველოში ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული შიში და დისკუსიები, ძირითადად, სწორედ ამ ორ სექტორს უკავშირდება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ოფიციალური მონაცემების შემომწვება შესაძლებელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე - air.gov.ge. პორტალი საშუალებას გვაძლევს, უწყვეტ რეჟიმში გავეცნოთ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემებს ოთხი ქალაქისთვის: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი.

სადგურების მეშვეობით იზომება 6 ძირითადი დამბინძურებელი: მტვრის მყარი ნაწილაკები (PM10 და PM2.5), აზოტის დიოქსიდი - NO2; მინისპირა ოზონი - O3, გოგირდის დიოქსიდი - SO2 და ნახშირბადის მონოქსიდი - CO. უკანასკნელი სამი დამბინძურებელი 2020 წლის მონაცემებით ოთხივე ქალაქში ნორმის ფარგლებში იყო.

თუმცა, გარდა ავტომატური სადგურების მეშვეობით ჰაერის ხარისხის უწყვეტი მონიტორინგისა, 25 ქალაქში დამატებით არსებობს ინდიკატორული გაზომვების პუნქტებიც, სადაც წელიწადში ოთხჯერ ორი კვირის განმავლობაში მონიტორინგდება ინდიკატორული მილაკები - სინჯის ამლეები მონიტორინგის, იგზავნება ბრიტანეთის აკრედიტებული ლაბორატორიაში და იქ ტარდება მისი ანალიზი. პასუხები აისახება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე.

2020 წელს ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ინდიკატორული დაკვირვების 25-დან 12 პუნ-

ქტზე NO2-ის კონცენტრაცია ნორმას აღემატებოდა. მათ შორის, 8 დაკვირვების პუნქტზე 50%-ით და მეტად. 2021 წლის მონაცემებით კი, სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა და NO2-ის კონცენტრაცია 25-დან 9 პუნქტზე აჭარბებდა ნორმას.

რას უარყოფს ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონი?

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ მიღებულია 1999 წელს. მისი რეგულირების სფეროა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან. კანონი არ არეგულირებს შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის დაცვის სამართლებრივ რეჟიმს.

კანონში ვკითხულობთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „გარემოს დაცვის შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის ჯერ კიდევ თავდაპირველ - 1999 წლის - რედაქციაში კანონის ძირითად მიზნებსა და ამოცანებში „დ“ ქვეპუნქტად ვკითხულობთ, რომ კანონის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს ევროკავშირის კანონმდებლობით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის სფეროში დადგენილი სამართლებრივი ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე ეტაპობრივ ამოქმედებას. შესაბამისად, თავიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას და ახლა უკვე ამას თან ერთვის 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

1999-დან 2022 წლამდე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში 22 ცვლილება შესული. მათი დიდი ნაწილი ტექნიკური ხასიათისაა და ასახავს საქართველოს ხელისუფლებაში მომხდარ ინსტიტუციურ ცვლილებებს, თუმცა, პერიოდულად კანონში მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებებიც შედიოდა. ბოლოდროინდელი შინაარსობრივი ცვლილებები, ძირითადად, ჰაერდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მცდელობაა.

საქართველოს ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-3 თავი ეთმობა გარემოს დაცვას. ამ თავის 302-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს ხარისხის შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და საერთაშორისო დონეზე ძალისხმევების ხელშეწყობას, გარემოს დაცვის ისეთ პრობლემებთან გასამკლავებლად, როგორცაა, მაგალითად, ჰაერის ხარისხი.

შეთანხმებაში ასევე საუბარია წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბების მნიშვნელობასა და სამრეწველო სექტორებში მოდერნიზაციისა და რესტრუქტურისაციის ხელშეწყობაზე.

პარლამენტში კანონი - რა გამოწვევას უსაძვამთ მრეწველობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში და უსაძვამელი სისტემები?

ბოლო წლებში მრეწველობასთან დაკავშირებული ჰაერდაცვითი კანონმდებლობა ადრინდელთან შედარებით დაიხვეწა.

2021 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ კი, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებით, გარკვეულ სანარმოებს დაევალებათ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგი ინსტრუმენტული მეთოდით. თუმცა, რუსთავის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანონს აქვს უდიდესი გამოწვევა აღსრულების კუთხით, რადგან მისი ამოქმედებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ, დაახლოებით 25 სანარმოდან მხოლოდ 4 ასრულებს ამ რეგულაციას. არაერთი გამოწვევაა სხვა საკანონმდებლო რეგულაციების აღსრულების კუთხითაც.

კანონმდებლობით გამოწვევებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ დრომდე, სანარმოების ნაწილს, რომელთაც ფუნქციონირების დაწყების დღიდანვე უნდა ჰქონოდათ აირმტვერდამჭერი სისტემები, ეს ვალდებულება ჯერ კიდევ არ აქვთ შესრულებული. შესაბამისად, ზოგიერთი სანარმო უკვე ათეულ წელზე მეტია კანონმდებლობით დაპირებული.



მნიშვნელოვანი გამოწვევაა სანარმოების ინსპექტირების საკითხი. გარდა ინსპექტირების არასაკმარისი რაოდენობისა, პრობლემაა ისიც, რომ მათი დიდი ნაწილი არის გეგმური და იმაზე ნაკლები, ვიდრე რეალურად საჭიროა. სასურველია, რომ გაიზარდოს არაგეგმური და მოულოდნელი ინსპექტირებების რიცხვი. გეგმური ინსპექტირებების შესახებ, როგორც წესი, სანარმოებს წინასწარ აქვთ ინფორმაცია და, შესაბამისად, იზრდება იმის შანსი, რომ არსებული სიტუაცია უფრო უკეთესად წარმოაჩინონ, ვიდრე ეს მათი ყოველდღიური საქმიანობის დროსაა. მაგალითად, თუ ფილტრები აქვთ და ყოველდღიურად არ იყენებენ, შეიძლება ინსპექტირების დროს ეს ფილტრები ამოშაონ.

რა გეგმავთ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საზოგადოებრივი კონტროლის კუთხით?

გარდა სანარმოებისა, ჰაერის დაბინძურებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. აზოტის ოქსიდების მთლიანი გაფრქვევების 43% ავტოსატრანსპორტზე მოდის. საზოგადოებრივი ტრასპორტის არასათანადო განვითარება კი კიდევ უფრო ზრდის ემისიებს ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან. პრობლემაა როგორც შიდა საქალაქო, ისე საქალაქთაშორისო ტრანსპორტი. შედეგად, მოსახლეობის იმ ნაწილსაც კი, რომელიც სხვა შემთხვევაში საზოგადოებრივ ტრასპორტს აირჩევდა, გადაადგილებისთვის უწევს კერძო ავტომობილის შეძენა. ამასთან, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ახერხებს ახალი ავტომობილების შეძენას და რეგისტრირებული ავტომობილების (სულ 1,47 მილიონი) 83% 10 წელზე მეტი ხნის წინ არის გამოშვებული, აქედან 23% - 30 წლის და მეტი ხნისაა. შედეგად, ძველი ავტომობილები კიდევ უფრო მეტად აბინძურებს ჰაერს.

აუცილებელია საზოგადოებრივი ტრასპორტის სათანადო განვითარება, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედის სავალი გზების გაუმჯობესება და ამით კერძო ავტომობილების მოხმარების შემცირება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მსუბუქი ავტომობილები მთლიანი ავტომობილების 85%-ს შეადგენს.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს აღდგა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო ტექნიკური მოთხოვნების სისტემა, ამ მექანიზმის სათანადო მუშაობა დღემდე გამოწვევაა. მინისტრის განცხადებით, სამრეწველო სექტორის პარალელურად, უმნიშვნელოვანესია სატრანსპორტო სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებაც.

„ამ მიზნით, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, შემუშავდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც 2023 წლის მეორე ნახევრიდან, ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლს სპეციალური აპარატურის საშუალებით“, - აღნიშნა ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა დეპუტატებს ახალი ინიციატივის შესახებაც მიანოდა ინფორმაცია, რომელსაც სამინისტრო მთავრობას უახლოეს მომავალში წარუდგენს.

საქმე ეხება ახალი ავტომობილების იმპორტის საკითხს, რაც მიზნად ისახავს სატრანსპორტო სექტორიდან ჰაერის დაბინძურების ეტაპობრივ შემცირებას და მომდევნო წლიდან, განსაკუთრებით მოძველებული ავტომობილების იმპორტის შეზღუდვას. რა თქმა უნდა, ინტენსიურად გრძელდება სანჯავის ხარისხის შემოწმების პროცესი.

მომზადდა
ინგა შიოლაშვილი



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

კახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის მერიისა და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ოფიციალურად გაფორმდა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში, ანნა ჩერნიშოვამ და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელმა პირებმა მოაწერეს ხელი.

მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზანია, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში წარჩინების მართვის, სეპარაციისა და გადამუშავების პროცესის გაუმჯობესება.

პროცესში ჩართულ მხარეებს წარმოადგენენ - მსოფლიო შეფუთვების ორგანიზაცია (WPO), მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (ჯორჯია ფლას), საქართველოს შესაფუთი მასალების მწარმოებელთა ორგანიზაცია (PMAG) და საქართველოს ნარჩენების მართვის ასოციაცია (WMA).

აღნიშნული შეთანხმების თანახმად, კახეთის რეგიონში იგეგმება ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით.



„საცალო სავაჭრო ობიექტები ორ წელიწადში აღარ იქნება“

„ჩათვალეთ, საცალო სავაჭრო ობიექტები 2 წელიწადში აღარ იქნება, ფაქტობრივად, ყველა ფრანჩაიზ მოდელზე გადადის“ - ამის შესახებ დისტრიბუტორთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ივა ჭყონიამ რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა. „გამსხვილება ხდება, მაგალითად, წლის დასაწყისში 3 ბრენდული სუპერმარკეტი გაერთიანდა. ერთ-ერთმა კონკრეტულმა ქსელმა ორი ქსელი შეერთა, თავისი ფრანჩაიზის მოდელის ქვეშ და რა თქმა უნდა, პირობები გაამკაცრა საკმაოდ,“ - აღნიშნა ჭყონიამ.

ჩვენი ინფორმაციით, საუბარია, „მაგნიტის“ ფრანჩაიზის ქვეშ სუპერმარკეტების „გვირილას“ და „დეილის“ გაერთიანებაზე.

აღნიშნული ინფორმაციის გადამომხმების მიზნით, „ბიზნესპრესნიუსი“ „გვირილას“ მფლობელ ლამა ჩოჩელსაც დაუკავშირდა. მან ჩვენთან საუბრისას

ინფორმაცია გაერთიანების შესახებ არ უარყო და აღნიშნა, რომ „სამი ქსელის სახელით უახლოეს მომავალში გაკეთდება განცხადება - თუ რა დონის თანამშრომლობას გეგმავენ“.

რაც შეეხება სუპერმარკეტების მენილეებს, რეესტრის მონაცემებით, სუპერმარკეტის „დეილის“ 51.5%-იან წილს დავით კუხალაშვილი, 37%-იან წილს ზურაბ ზაქარაძე, 10%-ს რუსუდან მაისურაძე და 1.5%-იან წილს მარინა პეტრიაშვილი ფლობენ. „გვირილას“ 100%-იანი წილის მფლობელია მიალინა ხუციშვილი. ხოლო სუპერმარკეტების ქსელის „მაგნიტის“ 30%-იანი წილი შპს „ქისტოლ ფინანსინვესტმენტს“ ეკუთვნის, 26.67%-ს ფლობს შპს „დოლბეი ქენსალთენის“, 20.04%-იანი წილი - შპს „ჯიბისი ინვესტის“ მფლობელობაშია, 13.33%-იანი წილი - შპს „გუდ ფროდაქტს“ ეკუთვნის, 9.96%-ის მფლობელი კი - შპს „რითილ ინვესტმენტსია“.

„ნაკლებად მჯერა, რომ ვაშაძის მიერ მონოპოლიზებული აქციებით სასამართლო რეფორმა მოხდება“

„აქციების წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ნაკლებად მჯერა, რომ ვაშაძის მიერ მონოპოლიზებული აქციებით სასამართლო რეფორმა მოხდება. ამ თვალსაზრისით ცოტა სკეპტიკური ადამიანი ვარ“ - ამის შესახებ „გირჩის“ ლიდერმა, იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

მისივე თქმით, სჯობს ოპოზიციამ პარლამენტში განაგრძოს მუშაობა.

„ჯერჯერობით კარგად მივდივარ. ამ კომისიის ფარგლებში „ოცნებას“ კანონების მიღებაზე ვათქმევინეთ უარი. ეს გავაგრძელოთ, ამაზე უკეთეს საქ-

მეს ვერასდროს ვერაფერს გავაკეთებთ. ოპოზიცია ერთმანეთთან საუბარსაც თუ დაიწყებს, ესეც კარგი იქნება. ქუჩას რაც შეეხება, მგონი ზოგიერთ ოპოზიციონერს ქუჩასთან კარგი მოგონებები არ აქვს და სჯობს, პარლამენტში გავაგრძელოთ მუშაობა“ - განაცხადა იაგო ხვიჩიამ.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ პარლამენტში ბრიფინგზე განაცხადა: „მოდით, გავშალოთ ფრონტი და ვთქვათ - არა კლანს სასამართლოში“. საზოგადოების პროტესტის გარეშე „ქართული ოცნება“ უკან არ იხევს“.

ნავთობის გადაზიდვა გაიზარდა - რა მოცულობის ნავთობს ატარებს მილსადენები?

ნავთობისა და გაზის კორპორაციის მონაცემებით, მარტში ბაქო-თბილისი - ჯეიჰანის მილსადენით 2.6 მლნ ტონა ნავთობის გადაზიდვა მოხდა, 0.4 მლნ ტონით მეტი თებერვალთან შედარებით. მთლიანობაში 3 თვეში მილსადენებით 7.3 მლნ ტონა ნავთობის გადაზიდვა მოხდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გავლით ნავთობის გადაზიდვა დაიწყო ყაზახეთიდანაც. წელს 1.5 მლნ ტონა ყაზახური ნავთობის გადაზიდვა განიხილება.

SOCAR-ი ასევე განიხილავს „თენგიზის“ საბადოდან მოპოვებული ნავთობის სუფსის მილსადენით გადაზიდვას. აზერბაიჯანული მედია წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ ყაზახური მხარეც დაინტერესებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ერთად ბაქო-სუფსის მილსადენიც გამოიყენოს. თებერვალში მცირე ვადით გახსნის შემდეგ, ბაქო-სუფსის მილსადენი მარტში კვლავ დახურული იყო.

შეგახსენებთ, BP-მ ბაქო-სუფსის მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირება ჯერ 2022 წლის 15 მარტიდან აპრილის ბოლომდე შეაჩერა, შემდეგ კი - წლის ბოლომდე. მაშინ ბრიტანულმა კომპანიამ მიზეზად შავ ზღვაში ნავთობტანკერების უსაფრთხოების საკითხის დასახელა.

„მეტი შემართებით უნდა გავაგრძელოთ ეროვნული პოლიტიკის გატარება“

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერით, მშვიდობიანად შევცვალებთ ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმი და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყებთ ეროვნული პოლიტიკის გატარებას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

ლარიბაშვილის თქმით, ხელისუფლების ყველა მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა „ქართული ოცნების“ თითოეული წევრისა და მხარდამჭერის, ერთგულებისა და შრომისმოყვარეობის გარეშე.

„დღეს 11 წელი შესრულდა „ქართული ოცნების“ დაფუძნებიდან. 2012 წლის 21 აპრილს ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა პირველად წარადგინა ჩვენი პოლიტიკური გუნდი საზოგადოების წინაშე. ეს მოვლენა იქცა უმნიშვნელოვანესი პროცესების დასაწყისად ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გავისენოთ, რომ საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეს იყო ურთულესი პერიოდი. ანტიეროვნულმა, თავისი შინაარსით ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიეროვნულმა რეჟიმმა პოლიტიკის უმთავრეს იარაღად აქცია შიში, ტერორი, ჩაგვრა და საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობა. საფრთხის ქვეშ დადგა არა მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, არამედ თითოეული ადამიანის სიცოცხლე, ღირსება და თავისუფლება.

საკუთარი ხალხის მოლაპატე რეჟიმი ესწრაფოდა ძალაუფლების შენარჩუნებას - თუნდაც ქვეყნის განადგურების ხარჯზე. უნდა ვაღიაროთ - ბევრი ვერ ხედავდა მაშინ გამოსავალს ამ ვითარებაში. სწორედ ამ პირობებში შეიქმნა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“. ეს იყო არსებითი გადარტყმა ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. დღევანდელი გადასახედიდან კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ამ საკვანძო გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყანა სრულ განადგურებას გადაურჩა. დღეს, რეგიონში მიმდინარე მოვლენების ფონზე, უდავოა, რომ სისხლიანი, ანტიეროვნული რეჟიმის პირობებში საქართველო მეორე პოლიგონად გადაიქცეოდა.

საქართველოს მოსახლეობის უდი-

დესი უმრავლესობის მხარდაჭერით, ჩვენი მშვიდობიანად შევცვალებთ ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმი და ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დავიწყებთ ეროვნული პოლიტიკის გატარებას - სუვერენიტეტის განმტკიცებას, მშვიდობისა და სტაბილურობის, მოქალაქეთა თავისუფლების უზრუნველყოფას. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს არის ერთადერთი უწყვეტი მშვიდობის პერიოდი, რაც საშუალებას გვაძლევს, მთელი ძალისხმევა მივმართოთ ყველა სფეროს განვითარებისათვის. დღეს სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი წინსვლა ყველა - კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიის მიმართულებით.

მსურს, განსაკუთრებით გამოვყო უდიდესი პროგრესი ევროინტეგრაციის გზაზე - ასოციაციის ხელშეკრულებით, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით, უვიზო მიმოსვლითა და ახლა უკვე ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭებით, ევროპის თავისუფალი ერთა ოჯახში ჩვენი განვითარების პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო.

ყველა ეს მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა „ქართული ოცნების“ თითოეული წევრისა და მხარდამჭერის ერთგულებისა და შრომისმოყვარეობის გარეშე. მაღლობას ვუხედი ყველა მათგანს.

განვლილი წლების შეჯამებისას ჩვენი მოტივაცია იგივეა - კიდევ უფრო მეტი შემართებით უნდა გავაგრძელოთ ეროვნული პოლიტიკის გატარება, ზრუნვა ყველაფერზე, რაც ჩვენი თვითმყოფლობისა და ძლიერების საფუძველია - ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, მშვიდობის უზრუნველყოფა, ეკონომიკური აღორძინება, ჩვენი კულტურის, სარწმუნოების, ტრადიციების დაცვა და განვითარება, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით წინსვლა თითოეული ქართველის უმთავრესი ოცნებისა და მიზნისაკენ - ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი საქართველოსკენ“, - წერს პრემიერი.

ნატო-ს სწოვით, 25 აპრილს იენს სტოლტენბერგი ბრიუსელში ირაკლი ლარიბაშვილს უმასპინძლებს

ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი 25 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ლარიბაშვილს ბრიუსელში უმასპინძლებს. აღნიშნულის შესახებ ალიანსის ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. მათივე ცნობით, დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ნატო-ს გენერალური მდივნის ერთობლივი პრესკონფერენცია.

ელექტროენერჯისა და გაზის ტარიფის ზრდას არ ვაპლოდებთ

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანია აცხადებს, რომ ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფის ზრდა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

„ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფი არ ველოდებით ტარიფების მატებას. ბუნებრივი გაზის ტარიფები გასული წლის დეკემბერში დაგეგმილად და უცვლელად დავტოვებთ. ელექტროენერჯის ნაწილშიც პერიოდულად გადახედვა გვინევს და ბოლო გადახედვა გვექნება მაშინ, როცა ბაზარი გაიხსნება, თუცა ბაზრის გახსნის პირობებშიც ტარიფების ზრდა მოსალოდნელი არ არის, რადგან ეუყურებთ ენერჯის ღირებულებას, კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებს ვალუტის გაცვლით კურსს და სხვა. ტარიფების ზრდა

ელექტროენერჯის სექტორში მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება წყალმომარაგების სექტორს, აქ ტარიფების გადახედვა დეკემბერშია დაგეგმილი, ჯერჯერობით კომპანიებისგან სატარიფო განაცხადები არ მიგვიღია. მათი განაცხადები სემეკში ზაფხულში უნდა შემოვიდეს და არსებული წესის შესაბამისად წლის ბოლოსთვის წყალმომარაგების ტარიფსაც დავადგენთ“, - ამბობს ნარმანია.

გასული წლის ბოლოს სემეკმა ბუნებრივი გაზის ტარიფი როგორც რეგიონებში, ასევე თბილისში უცვლელად დატოვა. ენერგეტიკულ ბაზარზე მიმდინარე რეფორმის ფარგლებში განხორციელებული სატარიფო ცვლილებების შესაბამისად, 3-წლიანი რეგულირების პერიოდის ნაცვლად, ტარიფები 5 წლიან პერიოდზე განისაზღვრა.

ქართული ღვინის ექსპორტი გაიზარდა - რა ღირს ღვინო?

ღვინის ექსპორტი გაიზარდა. პირველ კვარტალში საქსპორტო ბაზრებზე 56.3 მლნ დოლარის ღვინო გავიდა. ღვინის ექსპორტის 67.5% კვლავ რუსეთის ბაზარზე მოდის. ამ ქვეყანაში 3 თვეში 38 მლნ დოლარის ღვინო გაიყიდა.

1 მლნ დოლარზე მეტის ღირებულების ღვინო რუსეთის გამოკლებით მხოლოდ 5 საქსპორტო ბაზარზე გავიდა. მათ შორის, მიმდინარე ომის მიუხედავად, რეიტინგში დანინაურდა უკრაინა, სადაც წელს 3 მლნ დოლარზე მეტის ღირებულების ღვინოა გატანილი.

ქართული ღვინის საქსპორტო ბაზრები / TOP 10

- 1. რუსეთი - 38.04 მლნ დოლარი
- 2. პოლონეთი - 3.15 მლნ დოლარი

- 3. უკრაინა - 3.12 მლნ დოლარი
 - 4. ჩინეთი - 2.6 მლნ დოლარი
 - 5. ყაზახეთი - 2.19 მლნ დოლარი
 - 6. აშშ-1.14 მლნ დოლარი
 - 7. გერმანია - 0.97 მლნ დოლარი
 - 8. ლატვია - 0.95 მლნ დოლარი
 - 9. ბელარუსი - 0.69 მლნ დოლარი
 - 10. ლიეტუვა -0.50 მლნ დოლარი
- საანგარიშო პერიოდში დაახლოებით 19.3 მლნ ლიტრი ღვინოა ექსპორტზე გატანილი. 1 ლიტრი ღვინის საქსპორტო საშუალო ფასი 2.92 აშშ დოლარია. მათ შორის, აშშ-ში საშუალო ფასი 6.5 დოლარს შეადგენდა. საქსპორტო წლის ამავე პერიოდში საშუალო საქსპორტო ფასი 2.98 აშშ დოლარი იყო.

არუქე წიგნი, გააზიარე განათლება!

წიგნი ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და ბრძნული საჩუქარია, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ვაჩუქოთ ჩვენს მეგობრებსა და ახლობლებს. ძველ დროს წიგნის საჩუქრად მიწოდება პატივისცემის გამოხატვის განსაკუთრებულ გზად ან სხვა ადამიანების გაცნობის ხერხად ითვლებოდა.

წიგნის ჩუქების საერთაშორისო დღე 2012 წლიდან აღინიშნება წელიწადში ერთხელ და 30-ზე მეტ ქვეყანაში, მაგალითად ავსტრალიაში, ნიდერლანდებში, ინდოეთში, აშშ-ში და სხვ. ეს დღე-სასწაული აერთიანებს ყველას, ვინც კითხულობს და გულთბილად უზიარებს საკუთარ წიგნებს სხვებს, რადგან წიგნები სიყვარულით უნდა იყოს ნაჩუქარი! ამ ტრადიციის დამაარსებელია მიწისფერ სკოლის ბიბლიოთეკარი ემი ბროდმური. ერთხელ მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა დაუსვა კითხვა, თუ რატომ არ არის წელიწადში განსაკუთრებული დღე, რომელიც წიგნების ჩუქებას დაეთმობოდა. სწორედ ეს კითხვა გახდა ახალი იდეის წყარო.

აქციის დროს ბიბლიოთეკები, მუზეუმები და წიგნების მაღაზიები აწყობენ წიგნების კოლექციებს, ორგანიზებას უწყვენ სხვადასხვა სახის კონკურსებს, მასტერკლასებს, ვიქტორიებს, შეხვედრებს ცნობილ ადამიანებთან, მწერლებთან და მხატვრებთან, ასევე აწყობენ კონცერტებსა და მრავალფეროვან ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებების ჩატარება შესანიშნავი შესაძლებლობაა წიგნის ყურადღების მიქცევისთვის არა მხოლოდ მოზრდილებისთვის, არამედ ბავშვებისთვისაც. ასეთ საინტერესო და ორიგინალურ ღონისძიებაში მო-

ბთან და მხატვრებთან, ასევე აწყობენ კონცერტებსა და მრავალფეროვან ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებების ჩატარება შესანიშნავი შესაძლებლობაა წიგნის ყურადღების მიქცევისთვის არა მხოლოდ მოზრდილებისთვის, არამედ ბავშვებისთვისაც. ასეთ საინტერესო და ორიგინალურ ღონისძიებაში მო-



ნანილოების მიღება უამრავ დადებით ემოციას იწვევს. 21 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ქალაქ დედოფლისწყაროს ქუჩებსა და დასახლებულ უბნებში წიგნის ჩუქების აქცია მოაწყვეს. აქტივობა „არუქე წიგნი“ საბიბლიოთეკო კვირეულის ფარგლებში

განხორციელდა. „23 აპრილს, მსოფლიოში, წიგნთან და წიგნიერებასთან რამდენიმე მოვლენა ერთად არის დაკავშირებული: ეს არის წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე, შექსპირისა და სერვანტესის გარდაცვალების დღე. ვიფიქრებ, იქნებ, სწორედ ამ დღეს დაგვეწვებინა ძალიან ძვირფასი და თანაც, მარტივი ტრადიცია - წიგნის ჩუქების დღე. წიგნის ჩუქება ყველა საჩუქარს ერთად მოიცავს: ცოდნასაც და განცდასაც, სიხარულსაც და ტკივილის გაქვასაც, სწავლასაც, იმეოს, ჩაფიქრებას, დაკვირვებას, ამ დაკვირვებით გაკვირვებას. წიგნი კაცობრიობის მისიონარია, ისაა იმეო, ისაა იმეო გამოცდილება, რომელიც მე და შენ ვაპყრს. ამ ინიციატივის მიზანია წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია“ - წერდა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კვეციანი 2019 წელს, როცა ის საქართველოში წიგნის ჩუქების დღის დაარსების ინიციატივით გამოვიდა.

წიგნის ჩუქების დღე შთააგონებს ხალხს ერთმანეთთან საინტერესო წიგნების გაზიარებას და გვაჩვენებს, რომ წიგნი დღემდე ითვლება აქტუალურ საჩუქრად და არ კარგავს თავის ძალას და მნიშვნელობას ტექნოლოგიის განვითარების ეპოქაშიც კი.

ინგა შიოლაშვილი



ოზანში ნაადრევ ქორწინებასა და რისკებზე იმსჯელეს

ნაადრევი ქორწინების თემაზე სოფელ ოზანის საჯარო სკოლაში იმსჯელეს. პროექტი მეცხრე კლასში პედაგოგ მაია თევზაძის ინიციატივით განხორციელდა. პრობლემამ მოზარდებში საკმაო დაინტერესება გამოიწვია. მოსწავლეებმა სოფლის მაცხოვრებლებიც გამოკითხეს და დაინტერესდნენ რა ხდებოდა ძველად ადრეული ქორწინების კუთხით და როგორი იყო ტრადიციები. როგორც კლასის დამრიგებელმა „მირაქს“ განუცხადა, პროექტის მიზანი იყო მოსწავლეების მიერ ადრეული ქორწინების პრობლემის ირგვლივ მოძიებული ინფორმაციის დამუშავება.

მაია თევზაძე (კლასის დამრიგებელი, ბიოლოგიის პედაგოგი): „სრულიად განსხვავებული თემის შესწავლამ ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის რეპროდუქციული სისტემის შესწავლა საინტერესო აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი ნაადრევმა სქესობრივმა კავშირმა და მისმა შედეგებმა დაინტერესა ისინი. პროექტის მიმდინარეობა მეტად საინტერესო იყო. სხვადასხვა აქტივობა გვექონდა. ერთობლივად ვუყურებთ „ევროკავშირი საქართველოსთვის“ მიერ მომზადებულ ანიმაციურ ფილმს „ნაადრევი ქორწინება“, ამ მასალებით მოსწავლეებმა ნათლად დაინახეს დიდი პრობლემა. ჩაატარეს კვლევა თუ რა ასაკში ათხოვდნენ ადრე გოგონებს. გამოიკვებთ, რომ მათ დიდ ბებებებს 12, 13 წლის ასაკში ათხოვდნენ. შეადარეს აგრეთვე უახლესი წლების სტატისტიკა და აღმოჩნდა, რომ აღარ დაფიქსირებულა სოფელში არასრულწლოვანის ცათხოვრების შემთხვევა. პრევენციისათვის ერთ-ერთი მოსწავლე გაეცნობა, როგორც ექიმი გინეკოლოგი. მან ისაუბრა, თუ რა რისკები ახლავს ნაადრევ ქორწინებას, ნაადრევ სქესობრივ კავშირს, დაუსვა რამდენიმე შეკითხვა მოსწავლეებს და მათაც ისაუბრეს სქესობრივი გზით გადადებ ინფექციურ დაავადებებზე, მათი თავიდან აცილების გზებზე. ისაუბრეს აგრეთვე როგორ შეიძლება დაუ-

გვემავი ორსულობისგან თავის დაცვა. ბოლოს „გინეკოლოგმა“ შეაჯამა გაკვეთილი, მოუწონა ბავშვებს ცოდნა ამ საკითხის ირგვლივ და მადლობა გადაუხადა მათ ამისათვის. ასე დასრულდა ერთი საინტერესო გაკვეთილი“.

პროექტის მონაწილეები ამბობენ, რომ ამ ასაკში ამგვარ თემებზე მსჯელობა მათთვის მნიშვნელოვანია.

თეკლა მესრიშვილი (მოსწავლე): „ჩემი აზრით, ქორწინებისთვის ყველაზე კარგი ასაკია 20-დან 25 წლამდე, ამ ასაკში ქალიც და მამაკაციც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც ჩამოყალიბებულია და მზად არის ქორწინებისთვის. ნაადრევ ქორწინებას ცუდი შედეგები მოსდევს, რადგან არც ერთი მხარე სრულფასოვნად არ არის ჩამოყალიბებული და ფსიქიკურად ასეთი ცვირთისთვის მზად არ არიან. გარდა ამისა, ნაადრევ ქორწინებას მოსდევს ჯანმრთელობის პრობლემები. ჩვენივე ინიციატივით ბავშვებმა სოფელში ჩავატარეთ გამოკითხვა ხანდაზმული ასაკის მოსახლეობასთან. ჩვენი მიზანი იყო გაგვეგო, იყო თუ არა ნაადრევი ქორწინების ფაქტები ადრე ჩვენს სოფელში. გამოკითხვის მიხედვით გამოიკვეთა, რომ გასულ საუკუნეში ნაადრევი ქორწინება ძალიან დიდი პრობლემა იყო საზოგადოებისთვის. მაგრამ ახლა, დღევანდელ რეალობაში ეს პრობლემა აღარ არის. ძველად კანონი არ იყო, მაგრამ ახლა კანონის არსებობის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთან ქორწინება დასჯადია, ზოგიერთ სოფლებში ნაადრევი ქორწინების შემთხვევები მაინც ფიქსირდება. ეს ძირითადად ეთნიკურ უმცირესობებში გვხვდება. ბავშვობაში უფრო ნალისტიკა მაინტერესებდა, შემდეგ ექიმობა მინდოდა, ახლა უკვე თარჯიმნობა მინდოდა. საბოლოოდ გადაწყვეტილი ჯერ არ მაქვს, მაგრამ ამ პროექტში ექიმის როლი ავირჩიე, ძალიან მაინტერესებს ეს სფერო“.

ილია მარტყოფიშვილი

Dell-ი 2024 წლიდან ჩინეთში წარმოებულ ჩიპებს აღარ გამოიყენებს

ამერიკული კომპიუტერული ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანია Dell Technologies აპირებს 2024 წლიდან უარი თქვას ჩიპებზე, რომელიც ჩინეთშია წარმოებული - ამის შესახებ ინფორმაციას Financial Times ავრცელებს. კომპანია ასევე გეგმავს არსებითად შეამციროს მის პროდუქციაში ჩინეთში წარმოებული მაკომპლექტების გამოყენება. Dell-ი გეგმავს მინოდების ჯაჭვის დივერსიფიცირებას, იმ ფონზე, როცა ვაშინგტონსა და პეკინს შორის ურთიერთობები დაძაბულია - აღნიშნავს FT. მანამდე გამოცემამ Nikkei Asia გაავრცელა ინფორმაცია, რომ Dell-მა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს გააფრთხილა

მომწოდებლები, რომ არსებითად შეამცირებდა ჩინეთში წარმოებული ჩიპების გამოყენებას საკუთარ პროდუქციაში, მათ შორის, ჩინური კომპანიების მიერ ჩინეთის საზღვრებს გარეთ წარმოებულსაც კი. გაზეთის წყაროების ცნობით, კომპიუტერების მწარმოებელი აპირებს 2024 წლიდან საკუთარ პროდუქციაში გამოიყენოს ჩინეთის ფარგლებს გარეთ წარმოებული ჩიპები.

ამერიკული კომპანია მომწოდებლებსა და პარტნიორებს, რომლებიც პროდუქციის აწყობით არიან დაკავებული, მოუწოდებს საწარმოო სიმძლავრეები მოამზადონ ჩინეთის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, ვიეტნამში.

Nokia 4G-ინტერნეტს მოვარეზე გაიყვანს

სატელეკომუნიკაციო ტექნიკის მწარმოებელი ფინური კომპანია, Nokia მთვარეზე 4G მობილური ქსელის გაშვებას გეგმავს. ქსელის გადამცემებით SpaceX-ის რაკეტას ამ წლის ბოლოს აღჭურვავენ. ინფორმაციას „ევროპულსი“ ავრცელებს. 4G ინტერნეტს NASA-ს მისია Artemis 1-ის მთვარეზე გაფრენის ფარგლებში გამოიყენებენ. კერძოდ, ასტრონავტებს 4G ქსელი კავშირისთვის, ასევე, მონაცემთა გადაცემისა და რობოტების დისტანციური მართვისთვის დასჭირდებათ. ამასთან, 4G ტექნოლოგია დაეხმარება მკვლევარებს მთვარის ყინულის პოვნაში, რომელიც მთვარეზე ადამიანის სიცოცხლეს უზრუნველყოფს და მომავალი კოლონიებისთვის წყლის,

უანგბადისა და სანვავის წყარო გახდება.

Nokia-ს განცხადებით, ტექნოლოგიას შეუძლია, კოსმოსის ექსტრემალურ პირობებს გაუძლოს, ხოლო ენერგიით ქსელს მზის პანელები მოამარაგებს.

ლუქსემბურგში დაფუძნებული მაინიქარხანა დატესტა, რომელსაც მზის პანელების საწარმოო ნედლეულად მხოლოდ ქვიშისა და ელექტროენერჯის გამოყენება შეუძლია. მინიქარხნების საპილოტე გამოყენება 2022 წელს დაიწყო და ისინი უდაბნოებში მთელი მსოფლიო მასშტაბით განათავსეს. წარმატების შემთხვევაში, ტექნოლოგიას კოსმოსურ კოლონიებში გამოიყენებენ.

„შევენიად უშქარი სიხარული გვეძლევს მოკვდავთ, შენ კი რად ირჩევ მდინარეების და მთების წიაღ განმარტობას?“
 სონ განი (1536-1593), კორეელი პოეტი

ასაკობრივი ფსიქოლოგია მოზარდების პერიოდს მიიჩნევს ადამიანის ცხოვრებას 14-დან 17 წლამდე. უნდა ითქვას, რომ ეს განსაზღვრა პირობითი ხასიათისაა, რამეთუ მოზარდის განვითარება დამოკიდებულია როგორც ფსიქოფიზიოლოგიურ, ისე ფსიქოსოციალურ ფაქტორებზეც.

ამ ასაკში ხდება მოზარდში ჰიპოთეტურ-დედუქციური აზროვნების შედარებით სწრაფი განვითარება, ცნებათა განზოგადება, ალტერნატიულ ჰიპოთეზათა განხილვა, ანალიზი და სხვა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოზარდს ლოგიკური აზროვნებისა და ზოგადი კლასიფიცირების უნარი გამოიყენოს.

ამ სახის გონებრივი განვითარება თავისი ხასიათით უფრო გონებრივი მოღვაწეობის ინდივიდუალური სტილია, (ვიდეო ინტელექტის ცალკეულ თვისებათა სრულყოფა).

მოზარდობა ხასიათდება ემოციონალური აქტივობითაც, რაც გამოიხატება ადვილი აგზნებადობით, განწყობის ხშირი და სწრაფი ცვლით. საერთოდ, ნიშანდობლივია, რომ ე.წ. ემოციონალური რეაქტიულობა ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში ყველაზე უფრო მოზარდების პერიოდისათვის არის დამახასიათებელი.

აღნიშნული ხასიათის მოვლენებს, რომლებიც ხშირად საგონებელში აგდებენ მშობლებსა და პედაგოგებს, საფუძვლად უდევს მოზარდის სხეულში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პორმონალური პროცესები, რომელთა აუცილებელი შედეგი ფსიქიკური გაუნაზნაობებლობა, ეგზალტაციისა და დეპრესიის ხშირი შენაცვლება, პირობითი შეკავების მექანიზმის სწრაფი აგზნებადობა და შეკავებაა.

ცნობილი ფსიქოლოგი იგორ კონი მიუთითებს, რომ გარდამავალი პერიოდის ცენტრალურ-ფსიქიკურ პროცესს თვითშემეცნების განვითარება წარმოადგენს (იხ.ი.კონი - „პიროვნება და თვითშემეცნება“, მ.1984 წ). ეს თვითშემეცნება არაიმდენად მოზარდის გონებრივი განვითარებასთან არის დაკავშირებული, რამდენადაც მოზარდის მიერ საკუთარი პიროვნული სამყაროს უნიკალურობის აღმოჩენასთან. ბავშვისათვის მთავარი შემეცნების ობიექტი გარეგანი სამყაროა, სადაც და რის მიმართულებითაც პროცედურა მისი ფუნქციონირება, ხოლო მოზარდი არა მხოლოდ შეიმეცნებს საკუთარ ქცევას, არამედ შეუძლია საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის გაცნობიერებაც.

მოზარდის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საკუთარი თავში დარწმუნებულობა ანუ საკუთარი პიროვნების პატივისცემა. ის, ერთი შეხედვით უბრალო მცნება, შინაარსობრივად ძალზე მდიდარია და მრავალფეროვანი, შედგება ისეთი კატეგორიებისგან როგორც არის, მაგალითად, საკუთარი „მე“-ს მიღება და აღიარება, საკუთარი ღირსების შეგნება, საკუთარი რეალური და იდეალური „მე“-ს შეთანხმება. გამოჩენილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ს. კუპერსმიტმა მთელი თავისი ცხოვრება ამ ფენომენის კვლევას მოახმარა და ფრიად საყურადღებო დასკვნები შემოგვთავაზა: „საკუთარი თავის პატივისცემა მოზარდის ან დაზარალებულს განწყობას გამოხატავს და მოუთხოვს იმაზე, თუ რამდენად მიიჩნევს ინდივიდი საკუთარ თავს ღირსეულად, საჭიროდ, აუცილებლად და წარმატებულად დინამიკური ხასიათის მოვლენასთან მიმართებაში“.

„იკოვე საკუთარი თავი“

მოზარდის საკუთარ თავში დარწმუნებულობა არავითარ შემთხვევაში არ ასოცირდება ქედმაღლობასთან და მოჩვენებითი სიამაყესთან, რომლებიც უფროსებში უფრო კულტივირებულია, ვიდრე მოზარდებში. უბრალოდ, მოზარდი, რომელსაც ახასიათებს ზემოაღნიშნული თვისება, სხვაზე უარესად არ მიიჩნევს საკუთარ თავს, სჯერა, რომ თუ სურვილი ექნება, შეუძლია გარკვეულ ამოცანათა გადაწყვეტა.

ის მოზარდები, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ საკუთარი თავის რწმენა, უფრო მეტად მგრძობიარენი არიან თითქმის ყველაფრის მიმართ, რაც მათ შეეხებათ. ისინი მტკივნეულად განიცდიან კრიტიკას, გაკიცხვას, ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ გარეშე ადამიანთა შეხედულებას მის პერსონაზე თუ საქციელზე, რაც ხშირად მათი წარუმატებლობის საფუძვლად იქცევა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ყოველივე ამას მოჰყვება ხოლმე ის, რომ მოზარდს ახასიათებს ზედმეტი სიმორცხვე და უხერხულობის განცდა, ფსიქიკური იზოლაციისაკენ მიდრეკილება, არსებული, ხშირად მისთვის არასასურველი სინამდვილიდან ოცნების საშუალებით თავის დაღწევა, თანაც ხშირად ეს ერთგვარი იძულების ფორმით ხდება. რაც უფრო ნაკლებად სცემს მოზარდი საკუთარ თავს პატივს, მით უფრო განწირულია იგი მარტობისათვის (ეს მარტობა არ უნდა აგვერთავს იმ მარტობას, რომელსაც თავისი გონებრივი თუ ზენობრივი სრულყოფით გამოიჩეული ინდივიდი განიცდის საზოგადოებაში).

მარტობის დროებითი, წარმავალი მდგომარეობა, რომელსაც თან ახლავს სევდიანი განწყობილება-ადამიანის ცხოვრების თანმხლები პირობა და გამოხვეულია სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ე.წ. **სიტუაციური მარტობის** სახე, რომელიც განპირობებულია გარკვეული ცხოვრებისული გარემოებებით, ცხოვრების პირობებისა თუ ნაცნობთა წრის მკვეთრი გამოცვლით, ინდივიდუალური განვითარების კრიზისული მომენტებით მაგ; სიყვარულის მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის განცდით, ახლობელთა გარდაცვალებით, ოდესღაც მიმშენებლოვანი პირადი ურთიერთობის მოშლით და სხვ. რაც არ უნდა მძაფრი ფორმებით გამოვლინდეს სიტუაციური მარტობა, დროთა განმავლობაში იგი გაივლის და ადვილს დაუთმობს ახალ ურთიერთობებსა და ემოციონალურ მდგომარეობას.

სულ სხვა საქმეა **ქრონიკული მარტობა**, რომელიც მუდმივად თან სდევს მოზარდს მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე და მის მიერ მიჩნეულია გარდაუვალ მოვლენად („მარტობა ჩემი ბედია“).

რომელი ფსიქოლოგიური თვისებები აქცევს მოზარდს მარტოსულად და არაკომუნიკაბელურად? ეს თვისებებია: საკუთარი თავის უპატივისცემლობა, სხვისგან განსხვავებულობის ჰიპერტროფირებული შეგნება, ჩაკეტილობა, გაუცხოება. ასეთ მოზარდებს ახასიათებთ ისეთი ქცევის სტილი, როდესაც ინდივიდს ურჩევნია თვითიზოლაცია, სოციალური კონტაქტებისაგან გარიდება, აგრეთვე შესაბამისი განცდების რეპრეტუარი - უღიზიანების განცდა, სიბრაღური საკუთარი თავისადმი, აპათია, ზოგჯერ კი ჩუმი აგრესიულობაც.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჯეფრი იანგმა მისთვის დამახასიათებელი მოთმინებითა და შეუპოვრობით განახორციელა

დაკვირვება დაახლოებით 3000 მოზარდზე. ამ შრომის ათი წელიწადი დასჭირდა. სამაგიეროდ, მეცნიერმა შესძლო შემეშავებინა „მარტობის ტესტი“ და დეპრესიულ მდგომარეობათა გამოსწორების მეთოდოლოგია ფსიქოთერაპიაში. იანგმა მოახერხა იმ სინდრომების შესწავლა, რომლებიც განაპირობებს მოზარდთა და არა მხოლოდ მოზარდთა მარტობას. თითოეულ მათგანს საფუძვლად უდევს შესაბამისი ემოციური, კოგნიტიური (შემეცნებითი) და ქცევითი ნიშნები. ზედმეტი არ უნდა იყოს ამ სინდრომთა ჩამოთვლა:

- 1. მარტოდ დარჩენის შეულებულობა** - ამ სინდრომის „მფლობელი“ მარტოდ დარჩენისას თავგზას კარგავს, ვერ გაუგია რა უნდა გააკეთოს, განიცდის მტანჯველ მონყენილობას.
- 2. საკუთარი (პიროვნების) უპატივისცემლობა რაც გამოიხატება თვითშეფასების დაბალ ხარისხში („მე არავის ვუყვარვარ, მოსაწყენი ვარ“)** - ეს მდგომარეობა აიძულებს პიროვნებას დაქსიმალურად განერიდოს ადამიანურ კონტაქტებს, ამის შედეგად კი ადვილად განვითარდება ქრონიკული უიმედობისა და სევდიანობის შეგრძნება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სინდრომი ხშირად მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან პიროვნებებსაც ახასიათებთ.
- 3. სოციალური ხასიათის შფოთიანობა, ურთიერთობის ურწმუნობა, სიმორცხვე, გარეშე ადამიანისგან დაცივნისა და კრიტიკის მუდმივი მოლოდინი** - ამ მძიმე მდგომარეობიდან პიროვნების ერთადერთ გამოსავლად ესახება საკუთარ თავში ჩაკეტივა.
- 4. კომუნიკაციისთვის აუცილებელი ჩვევების უქონლობა** - ამ დროს მოზარდს პიროვნებათაშორისი ურთიერთობის მომენტებში (გაცნობა, პარტნიორობა და სხვა) არ შეუძლია ფლობდეს საკუთარ საქციელს, რაც ხშირად ენაცვლება ემპათიის დაბალ ხარისხს. შედეგი - მოლოდინის განბილება და გულის გატეხვა.
- 5. უნდობლობა ადამიანებისადმი, რადგანაც მოზარდს ისინი მტრებად და ეგოისტებად ესახება** - ასეთი მოზარდი არა მხოლოდ გაურბის ადამიანებს, არამედ მათ მიმართ წყენასა და გაბოროტებასაც განიცდის.
- 6. შინაგანი შეზოქობა, ე.წ. „თვითგახსნის“ უქონლობა** - ამ მომენტში მოზარდი ნათლად აცნობიერებს საკუთარ ფსიქიკურ „შემრეტყულობას“, მაგრამ გამოსავლის პოვნა უჭირს. პიროვნება ასეთ შემთხვევაში იძულებულია გარკვეული როლები ითამაშოს.
- 7. პარტნიორის არჩევის სიძნელე („ვერ შევხვდები შესაფერის ადამიანს“, „არავინ არ მომწონს“)** - მოზარდს აქვს სურვილი დაამყაროს პირადი ურთიერთობა, მაგრამ შედეგად იღებს თავისთვის არასასურველ ხასიათის პარტნიორსა თუ ურთიერთობას. ამის შემდეგ შესაძლოა განსაკუთრებით ძლიერად განვითარდეს ქრონიკული უღიზიანობისა და მარტოსულობის კომპლექსი.
- 8. მიტოვებულობის გაუცნობიერებელი შიში** - რომელიც დაკავშირებულია ზემოხსენებულ არასრულფასოვნების კომპლექსთან და საფუძვლად ხშირად უდევს წარსულში განცდილი არასასიამოვნო შემთხვევა. მოზარდს ეშინია ახალი გულგატეხილობა. ასეთ შემთხვევაში ყალიბდება საკუთარი სოციალური როლის დაკნინების მოთხოვნილება, გამართლება.
- 9. სექსუალური ხასიათის შეშფოთება** - ეს არის იმის შეგნება (ხშირად მცდარი),



რომ მოზარდს საკუთარი თავი ულამაზოდ მიაჩნია. ამის შემდეგ იმდენად ძლიერდება უხერხულობისა და სირცხვილის განცდა, რომ შემდგომ ხშირად ნებისმიერ სხვა ტიპის ურთიერთობაზეც კი ახდენს უარყოფით გაველენას

10. ემოციონალური სიახლოვის შიში („ჩემგან მეტს ელიან, ვიდრე მე შემიძლია“) - ეს უბიძგებს სუბიექტს ურთიერთობის გაღრმავებისკენ, რადგანაც შიშობს, რომ ამას მოჰყვება მისთვის არასასურველი გულახდილობა.

11. პასიურობა, მუდმივი მერყეობა, საკუთარი გრძობების შეფასებაში გაურკვეველობა („მე თვითონ არ ვიცი რას ვგრძობ და რა მინდა“) - მიზანდასახულობის სრული მოშლა, უინიციატივობა პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

12. არარეალური მოლოდინი, უკიდურესად მკვეთრ ნორმებზე და მოთხოვნილებებზე ორიენტირება („ან ყველაფერი, ან არაფერი“) - როგორც მინდა, ისეთი უნდა ვიყო! - ეს კი იმის ნიშანი, რომ მოზარდს ხასიათში დაუმკვიდრდა მოუთმენლობა, რომელიც ხელს უშლის მას განახორციელოს მოქმედების მიზანმიმართული თანამიმდევრულობა. ამას მოჰყვება ხოლმე მოზარდის გაუცნობიერებელი სწრაფვა განწყვიტოს ყოველგვარი კავშირი თავისზე ძლიერ ინდივიდებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ სინდრომებთან ეს ყველაზე უფრო სერიოზული და საშიშია.

ამ ერთი შეხედვით უწყინარ მომენტებს შესაძლოა მოზარდში ცხოვრებისათვის (და არა მხოლოდ მისთვის) სერიოზული სიძნელეები მოჰყვეს, თუ მან ვერ მარტობის მიზეზი. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ დღეისათვის არც სკოლას, არც ოჯახს და არც საზოგადოებას არ ძალუძს ჩვენს სინამდვილეში მოზარდს მოამზადოს ე.წ. „ლეგიტიმური“ ხასიათის სოციალური როლისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ მოზარდის პიროვნულ ზრდასთან ერთად იზრდება მისი მოქალაქეობრივი აქტიურობის ხარისხი, ხოლო საზოგადოება წინასწარ უნდა ზრუნავდეს პიროვნების ინდივიდუალური პარამეტრების გათვალისწინებით მოუშვადოს მას ასპარეზო ნორმალური ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. ევროპაში, მაგ; გერმანიაში, უკვე ამ პრინციპით მოქმედებენ დაახლოებით, მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან.

მამ საუ:
მარტობისაგან თავის დაღწევის უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. ზემოთ ჩამოთვლილ ყოველ სინდრომს შესაბამისი საპირისპირო ხასიათის ფსიქოლოგიური ხერხები შევკვილია ვებრძოლო. თუ თქვენ განუხებთ მარტობის პრობლემას, მოგვწერეთ და შემდგომში ჩვენ უფრო დანერგვით შევეხებით მოზარდებისათვის ამ და სხვა საჭირო პრობლემებს.

პ.ს. გაგრძელდა შემდეგ ნომერში...

ფსიქოლოგი,
 ბასო გიგოლაშვილი

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ჯ ა ნ დ ა ა ს ვ ა 1 0 წ ლ ი ს ა ა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 10 წლისა. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, 11 მილიონამდე სამედიცინო შემთხვევა, 7 მილიარდამდე ლარით დაფინანსდა.

პროგრამით ფინანსდება, როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებები, კარდიოქირურგია, გეგმური ქირურგიული მომსახურება, მშობიარობა და საკეისრო კვეთა, ონკოლოგია, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, მათ შორის იმუნოხაცია, ოჯახის ექიმის და ექიმ-სპეციალისტების მომსახურება, აუცილებელი გამოკვლევები, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები და სხვა.

სახელმწიფო აგრძელებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მოცვისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობას, რათა პროგრამის რესურსით კიდევ უფრო ეფექტურად მოხდეს მოსახლეობის მრავალ-

მხრივი საჭიროებების მოცვა, სწორედ ამ მიზნით პირველი ნომებრიდან, სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი მოქმედებს.

გარდა ამისა, 2025 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ყველა კლინიკა, ვალდებული იქნება საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტები დააკმაყოფილოს. საუბარია სამედიცინო დაწესებულების, მომსახურების ხარისხის, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

რეფორმების მიზანია მოქალაქეებისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლის მძლავრი მექანიზმების შექმნა.



საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 10 წლისა

დღემდე პროგრამით

11 მილიონამდე სამედიცინო შემთხვევა

7 მილიარდამდე ლარით დაფინანსდა

ყველის და რძის ღირებულება შემცირდა

ყველის და რძის ღირებულება შემცირდა, რისი მიზეზიც ამ პროდუქტების ფასების სეზონური ცვლილებაა. კომპანია „შირაქის“ დამფუძნებელი ნიკოლოზ ბენიანიძე ამბობს, რომ გაზაფხულზე ნველადობა მატულობს, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში ჭარბ რძეს აჩენს, შედეგად იაფდება, როგორც რძე, ასევე რძის ნაწარმი. შემცირებულია რძის ფხვნილის ფასიც, რაც ადგილობრივ ბაზარზეც აისახა.

„ამჟამად ყველზე ორი ლარით, რძეზე კი დაახლოებით 10-15%-ით არის ფასი შემცირებული, რაც გაზაფხულის სეზონმა და ამ დროს ნველადობის ზრდამ განაპირობა. ნველადობის ზრდას კი მწვანე ბალახის გაჩენა იწვევს. ეს

დაახლოებით ორი ან ორთვენახევრის განმავლობაში შედარებით ჭარბ რძეს აჩენს. შედეგად, რძეს და რძის ნაწარმს ფასი აკლდება,“ - აღნიშნა ნიკოლოზ ბენიანიძემ.

ყველის და რძის გაიაფებაზე საუბრობს „ცივის ყველის“ დამფუძნებელი გიორგი ლალაშვილიც. მისი თქმით, იმისათვის, რომ ეს კლება მომხმარებლებმა იგრძნონ, მალაზიებმა სარეალიზაციო ფასები უნდა შეამცირონ.

„მალაზიებში ძალიან მაღალი ქემბეკია. 15-20% მალაზიებს არაფერში მიაქვთ. მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს. ეს თავისთავად, როგორც ყველს, სხვა სახის პროდუქციას დახლზე მომხმარებლებს უძვირებს.



ჩვენ ვაბარებთ კონკრეტულ ფასში, ხოლო შემდგომ ისინი დახლზე თავის მომატებულ ფასს ადებენ“ - განმარტა გიორგი ლალაშვილი.

„რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის“ პრეზიდენტი პას კონიაშვილი აღნიშნავს, რომ ფასების შემცირებას უახლოეს თვეებში კიდევ ელოდება, თუმცა მხოლოდ მცირე მენარმეების მხრიდან.

„ის მცირე მენარმეები, რომლებიც უფრო მობილურები არიან და რომელთაც მცირე ფერმერულ მეურნეობებზე ხელი უფრო მეტად მიუწვდება, ისინი ფასს დააკორექტირებენ, რადგან მცირე მეურნეობები სწრაფად რეაგირებენ და გადანაწილებაც მსხვილ კომპანიებთან

შედარებით მარტივია. როგორც კი რძე 10-20 თეთრით იაფდება, მათთვის უფრო ადვილია ბაზარს ახალი ფასი შესთავაზონ. მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ასეთი მყისიერი გადანაწილება სამსუხაროდ ვერ ხდება“ - განმარტა კონიაშვილი.

როგორც კომპანიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რძის ნაწარმის ფასი, მათ შორის ყველის, ზაფხულში კვლავ მოიმატებს, შემოდგომის ბოლოს პიკს მიაღწევს, ხოლო იანვრიდან ისევ დასტაბილურებას დაიწყებს.

მომზადდა ინგა შილაშვილი



ყველი - არის თუ არა ის ჯანმრთელობისთვის საშიში?

„ყველი - საკვები პროდუქტია, რომელიც აჭრის რძისგან მზადდება. გამოყენებული რძე შეიძლება იყოს ძროხის, ცხვრის, თხის, კამეჩის, ან რომელიმე სხვა ძუძუმწოვრის. ყველი არის თეთრი ან ლაიმოვითალო ფერის. შეიძლება ჰქონდეს ნასვრეტები.

არსებობს ყველის ასეულობით სახეობა, რომლებიც სხვადასხვა ტექნოლოგიით მზადდება. საქართველოში ოფიციალურად ყველის 14 სახეობაა დარეგისტრირებული: დამბალხაჭო, ჩოგი, ტენილი ყველი, კალტი, კობი, აჭარული ჩეჩილი, მესხური ჩეჩილი, სულგუნი, მერგული სულგუნი, სვანური სულგუნი, გულის ყველი, თუშური გუდა, იმერული და ქართული.

გაერთიანებული სამეფოს საცალო ვაჭრობის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ყველის 4% ქურდბაცაცობის გამო იკარგება, რის გამოც იგი მსოფლიოში ყველაზე მოპარვადი საკვები პროდუქტია“ - ასეთ განმარტებას წაიკითხავთ ამ პროდუქტზე ვიკიპედიაში.

ჩვენი რეაქცია კი საფრთხილოდ ასეთია...

ნაწლავური ჩხირები, სხვადასხვა ბაქტერია, ტრანსცხიმები და ანტიბიოტიკები ყველის შემადგენლობაში-იმერული ყველი ადამიანის ჯანმრთელობის კრიტიკული პრობლემების მიზეზი შეიძლება გახდეს. არის თუ არა ყველი მართლაც ნატურალური რძისგან დამზადებული და ზოგადად, რამდენად სუფთა პირობებშია ამოყვანილი, ამის დასადგენად ერთ-ერთი ექსპერიმენტის ფარგლებში რამდენიმე ტერიტორიაზე ნაყიდი ყველი ლაბორატორიაში ჩააბარეს. კვლევის შედეგი კი საგანგაშო აღმოჩნდა. სისუფთავესთან და უვნებლობასთან შეუსაბამობა ყველა ჩაბარებულ ნიმუშში იყო. ზოგ შემთხვევაში, ყველში ნაწლავური ჩხირები აღმოჩნდა, ზოგ შემთხვევაში კი ტრანსცხიმები. როგორც ირკვევა, მცენარეული ცხიმებით მომზადებულ პროდუქტში ყველაზე ხშირად პალმის ცხიმი გამოიყენება, რომლის მავნებლობაც საყოველთაოდ ცნობილია.

ყველის ასოციაციის თავმჯდომარე ანა მიქაძე ამბობს:

„ეს, რასაკვირველია, თაღლითობაა და შესაბამისი სასჯელი ეკუთვნის იმ ადამიანს, რომელიც გვატყუებს. ჩვენ ბუნებრივ რძეზე დამზადებულ პროდუქტს ველოდებით და ისინი ტრანსცხიმებს იყენებენ. საშიშია, იმიტომაც, რომ ნაწლავის ჩხირებიცაა აღმოჩენილი. სუფთად არ არის მომზადებული, შესაძლოა, ხელი არ დაიბანა, ცური არ გაასუფთავა, თივის, მინის მტვერი, ფეკალია, ფუნა მოხვდა პროდუქტში - ყველაფერი მოქმედებს.

დანაწილებული ჩვილის ასაკიდან, ღრმა მოხუცებულობამდე, ადამიანი რძის პროდუქტს მიირთმევს. რძის პროდუქტები სასიცოცხლოდ აუცილებელია. არ შეიძლება, მთელი საქართველო დააავადო. უკვე წლებია, უცხოეთიდან ფხვნილის სახით, ირანული პასტა-რძის სახით შემოდის, რომლებსაც პირდაპირ ანერია, რომ სიმსივნეს იწვევს. არის ხოლმე ასეთი ხალხური მიდგომა, რომ იმერული ყველი შეიძლება მავნებელი იყოს და სულგუნი არა, იმიტომ რომ ის გადაზღვრული მზადდება და ცხელი წყალი გამოიყენება. თუმცა, აქაცაა პრობლემები. თუ ნაწლავის ჩხირები არის იმ სივრცეში, სადაც ყველი კეთდება, ის ყველა პროდუქტში იქნება. თუ პასტერიზაციას არ ვუკეთებთ, შეიძლება ნაწლავის ფლორის

მთლიანად მოშლა, ყაბზობა, დიაბეტი, სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები დაგვემართოს. ეს არის პროდუქტი, რომელიც ყველაფერში მონაწილეობს. ყველაფერი შეიძლება გააფიფქოს, ამიტომ საკმაოდ საშიში თემაა და ასე მსუბუქად შეხედვა არაფრით არ შეიძლება. მტერს, რაც იმერული ყველის მისაღებად ხდება. ფხვნილზე დამზადებული ყველი შეიძლება 2 დღეში დაიშალოს და ხაჭოსებრი გახდეს. ის, რომ მას ნებოვანება გაუჩნდეს, უფრო დიდხანს ყოჩაღად გამოიყურებოდეს, საგემოვნო თვისებაც მიმსგავსებული ჰქონდეს ყველანაირი უბედურებაა მიგნით გამოყენებული. სამწუხაროდ, ყველა ეს ემშაკობა ათივისეს“.

ირკვევა, რომ ტრანსცხიმების გამოყენებისა და ანტისანიტარიაში მომზადების გარდა, ყველის სასურველი კონსისტენციის მისაღებად სხვადასხვა მედიკამენტსაც ამატებენ. პროდუქტში მავნე ბაქტერიების თავიდან ასარიდებლად არაკეთილსინდისიერი მენარმეები ანტიბიოტიკებსაც კი ურევენ.

„მომხმარებელთა ფედერაცია“ ყველზე ჩატარებული კვლევის შედეგებს აქვეყნებს. ამასთან დაკავშირებით, „მომხმარებელთა ფედერაციის“ ხელ-

მძღვანელმა მადონა კოიძემ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ სხვადასხვა ქალაქში შექმნილი ყველის 50 ნიმუშიდან 35-ში ლაბორატორიული კვლევისას ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებები აღმოჩნდა.

„საქართველოს მომხმარებელთა ფედერაციაში განხორციელდა ზარები რძის პროდუქტებთან დაკავშირებით. რძის პროდუქტები განსაკუთრებით მალეფიქებადი პროდუქტია, რომლებსაც შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმი სჭირდება სწორად შენახვისთვის. ჩვენ რამდენიმე ქალაქში შევისყიდეთ 50-მდე ყველი, მათ შორის, ტრადიციული, ქარხნული, სულგუნი. საგანგაშო მდგომარეობაა - 50 ნიმუშიდან 30-ში აღმოჩენილია ე.წ. კოლიფორმები ანუ ნაწლავის ჯგუფის ტიპის ბაქტერიები და ხუთში აღმოჩენილია პათოგენი - ოქროსფერი სტაფილოკოკი. სიცხეში ეს პათოგენი გამოყოფს ენტეროტოქსინს, რომელიც 90%-ით აზიანებს მომხმარებლის ჯანმრთელობას და იწვევს კვებით ინტოქსიკაციას“, - განაცხადა მადონა კოიძემ.

მისივე თქმით, ძირითადად გლეხურ, ანუ ოჯახურ პირობებში დამზადებულმა ყველმა ვერ დააკმაყოფილა სტანდარტები. ხოლო ქარხნული წესით დამზადებული, მაგალითად „სანტეს“ ყველი „სანებო“ და „კარფურის“ ყველი ლაბორატორიული შემოწმების დროს სუფთა აღმოჩნდა.

გენარა ყველი

კლასიკური ქარხნული მდნარი ყველი მთლად ყველი არ არის. უმრავლეს შემთხვევაში ის მზადდება ყველის მონარჩენებისგან, რომლებიც ერევა რძის პროდუქტებს, კოლაგენს და კვებით საღებავებს. ნატრიუმის მაღალი შემცველობისა და ცხიმების დიდი რაოდენობის გამო ეს პროდუქტი გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, ფოსფატური კვებითი დანამატები კი მოქმედებს ძვლებსა და თირკმელებზე, რადგან არღვევს კალციუმის ბალანსს. გარდა ამისა, საკმაოდ კალორიულია.

მომზადდა სათუნა ბენაშვილი



ზემო მაჩხანელთა ანჷო, ნარსული და მომავალი...

ზემო მაჩხანელთა მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაშქრული“ ცხელი ზაფხულისთვის ემზადება. როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სულ მალე მათ საკმაოდ დატვირთული დღეები და გასვლითი კონცერტები ელოდებათ. „ლაშქრული“ ასევე მინვესტირებს ბულგარეთში, მანამდე კი მოცეკვავეები ბათუმს ეწვევიან, სადაც საერთაშორისო ფესტივალი დაგეგმილი.

„ლაშქრული“ ჩვენს მეზობლად, სიღნაღში შეიქმნა, თუმცა, ბოლო ხანს ზემო მაჩხანელშიც გაჩნდა მოთხოვნა და მოზღბების სურვილით რეპეტიციები მაჩხანის კულტურის სახლის კოლოში დაიწყო. მრავალი წელია ამ ძველ შენობაში კეთილმოწყობილი დარბაზი არ არის, რის გამოც ანსამბლის წევრებს ქორეოგრაფიული ნომრების შესწავლა პირველ სართულზე, შენობის ფოიეში უხდებათ. შენობა 1955 წელს აშენდა და 1956 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა.

ანსამბლი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ რამდენიმე თვეში გასტროლებისთვის ემზადებიან და წარმატების მოლოდინში არიან.

„ჩვენ სიღნაღის მუნიციპალიტეტის პროფესიული ანსამბლი ვართ. „ლაშქრული“ მოღვაწეობს სხვადასხვა სოფელში,

სადაც გახსნილი გვაქვს სტუდიები, მათ შორის ზემო მაჩხანელში. ამჟამად ზემო მაჩხანელში გვყავს 40 ბავშვი, რეპეტიციები ტარდება კულტურის სახლის შენობაში, მათი ხელმძღვანელი გახლავთ „ამაგდარი“-ს ჯილდოსა და სპეციალური ოქროს ნიშნის მფლობელი,

ლევან გორჩიშვილი, რეპეტიტორი კი გიორგი ქურდაშვილი. გასულ კვირას მონაწილეობა მივიღეთ თბილისში, „არტ-ჰოლში“ 9 აპრილთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაში. მაჩხანელმა ბავშვებმა გამოიტანეს უკრაინული და აფხაზური ცეკვები. ძალიან მონდომებული და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული ბავშვები არიან. აქტიურად ვემზადებით მომავალი კონცერტებისთვისაც. ივლისის თვეში მივემგზავრებით ბათუმში, საერთაშორისო ფესტივალზე, ხოლო აგვისტოში ჩვენი ანსამბლი მინვესტირებს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში, სადაც მონაწილეობას მივიღებთ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში, სადაც იმედი გვაქვს მოვიპოვებთ საპრიზო ადგილს. მო-

გეხსენებათ, საზღვარგარეთ გამგზავრება კარგ მომზადებასთან ერთად სხვა ბევრ ფაქტორზეცაა დამოკიდებული. შესაბამისად, ყველა ვერ შეძლებს წამოსვლას. ზემო მაჩხანელიდან, დაახლოებით 10-15 ბავშვი ჩვენთან ერთად წამოვა ბულგარეთ-



ში. შერეული ჯგუფი მიგვყავს. უმრავლესობა აქტიური და ძლიერი ბავშვია, მაგრამ ბულგარეთში მშობლების დაფინანსებით მივიღებთ და ბუნებრივია, ბევრს უჭირს ფინანსებით გამოხახვა,“ – აცხადებენ ანსამბლი.


თამუნა ბენაშვილი (მშობელი): „9-10 წელია ანსამბლ „ლაშქრული“ და-

დიან ბავშვები. ანსამბლი 15 წელზე მეტია რაც დაბა წნორში მუშაობს. 2 წელი ჩემი შვილები - დავით და თამარ გოგილაშვილები მაჩხანელიდან წნორში დადიოდნენ და შემდეგ მშობლების თხოვნით, ქორეოგრაფები ამოვიყვანეთ ზემო მაჩხანელში. გვინდოდა ისეთი ცეკვის მასწავლებელი გვყოლოდა, რომელიც მუდმივად იქნებოდა და სტაბილურად იმუშავებდა. „ლაშქრული“ სიღნაღის მუნიციპალიტეტში საკმაოდ წარმატებულია, ხშირად მოგზაურობენ სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში. ფინანსდება მუნიციპალიტეტიდან და, აქედან გამომდინარე, ჩვენც დაფინანსდებით ამ ანსამბლის ფილიალი სოფელში გავგეხსნა, რათა ჩვენს შვილებს ცეკვის სფეროში მეტი განვითარება ჰქონოდათ. გვერდში დაგვიდგა ბატონი ნიკოლოზ ჯანაიძე, შეგვიპირდა და გვიფინანსებს ფართს, რისთვისაც სოფლის მოსახლეობა დიდ მადლობას ვუხდით. მიუხედავად იმისა, რომ მაჩხანელში ჯერ კეთილმოწყობილი დარბაზი არ აქვთ, ძალიან კარგად და სტაბილურად მუშაობენ. რა თქმა უნდა, არასდროს არ გვექონია იმის შიში, რომ წავიდოდა და ბავშვებს მიატოვებდა. პირიქით, აქტიურად ვიღებთ კონცერტებზე და ფესტივალებზე მონაწილეობას. გვაქვს მედიები, თასები, დიპლომები და უამრავი ჯილდო“.

5 სექტემბერი 1956 წ., ბაზეთი „ახალი შირაქი“

– „კარგი სანახავია ზემო მაჩხანელი, ლამაზი, ნაგები ქეთიკირის სახლები, ქუჩაში და ოჯახებში ციმციმებს ილიჩის ელნათურები, მათ ყოფაცხოვრებაში დიდი ხანია დამკვიდრდა რადიო, გაზეთი. ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინრობა. ზემო მაჩხანელეებმა უმოკლეს დროში ურმისა და ქონხაშხის საუკუნეები ელექტრო და განათლების საუკუნეში გადაიბიჯეს, ახალი ცხოვრების შენებას შეუდგნენ. კოლმეურნეები უფრო შეძლებულნი გახდნენ და მომრავლდა კულტურის კერები, სკოლა, საექიმო უბანი, აფთიაქი. ერთი, რაც დიდხანს აფიქრებდა მაჩხანელეებს, ეს იყო ოცნება წყალზე. მიდიოდა წლები, საუკუნოვანი ნატვრა კი აუხდენელი რჩებოდა. წელს შესძლეს და ახლახან დამთავრებული მილებიდან მოჩუხჩუხებს თავწყაროს ანკარა წყალი. სასახელი თარიღად შევა 1 სექტემბერი მაჩხანელთა ისტორიაში. გაიხსნა კულტურის ახალი სახლი, დარბაზი 700 მაყურებელს იტევს, აქვს

ფართო სცენა, ირგვლივ ლოქები, დამხმარე ოთახები. ზეიმზე მოვიდნენ მეზობელი რაიონებიდან და სსრ კულტურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან. კონცერტი გახსნა მაჩხანის სიმღერის გუნდმა, რომელსაც ალ. ყიასაშვილი ხელმძღვანელობს. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ ფილარმონიის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა გამოსვლას. განირაღებულ ფართო და ლამაზ დარბაზში პრეზიდენტში მაგიდას უსხედან მოწინავე მერგოლური თინათინ ქევნიშვილი, მეძინდრე ზინა იაკობიშვილი, მევენახე ქეთევან ლაპიაშვილი, კოლმეურნე ხელოსანი ზეთისო ტალიაშვილი და სხვები. სიტყვაში გამოვიდა კოლმეურნე მანია ბენაშვილი. კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კოსტა ნატროშვილმა აღნიშნა, რომ ზემო მაჩხანელი ახალგაზრდები უფროსებს კვლავაც ამოუდებიათ გვერდში და



ენერგიულად იბრძოლებენ მეექვსე სუთწლედის გვემის ვადაძე შესრულებისთვის.

„ადამიანმა რაც შეიძლება მეტი უნდა მოასწროს და გააკეთოს“

ნაირა ნატროშვილი ზემო მაჩხანის კულტურის სახლის ხელმძღვანელია. ის თითქმის ნახევარი საუკუნეა ამ შენობაში მუშაობს და ამ შენობის ისტორიიდან ბევრი საინტერესო დღე ახსოვს. გაზეთ „შირაქთან“ იმ ნაყოფიერ წლებს იხსენებს, როცა სოფელიც აქტიური იყო და კულტურის სახლიც. იმედი აქვს, ბევრის მნახველი სცენა კიდევ განათდება და ლამაზი საღამოების მასპინძლობას ისევ შეძლებს.



ნაირა ნატროშვილი: „მუსიკალურ ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. მამაც და ბიძებიც ფანდურზე უკრავდნენ და მღეროდნენ, მათ მასწავლეს და შემაყვარეს სიმღერა. პატარაობიდან ვმღეროდი, შემდეგ ეს მონაცემები სკოლაშიც გამოვამყვანე. სკოლაში მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა, მიმა სენსიაშვილი, ვისაც სიმღერა, ან ცეკვა შეეძლო, ასეთ ბავშვებს ავტომატურულ ბორგადებში წერდნენ და მინდორში მშრომელებთან მივყავდით. მეშვიდე კლასიდან მეც ასე ჩამრთეს და პერიოდულად გასვლით

ლონისძიებებს ვატარებდით. შემდეგ უკვე კულტურის სახლშიც გვიბარებდნენ ხოლმე და ყველაფერში აქტიურად ვმონაწილეობდი. ანსამბლის ხელმძღვანელი იყო იოსებ გოგაშვილი, რომელმაც შემავარა მრავალმხიანობა, მათ მასწავლეს ყველაფერი. 1976 წლიდან კულტურის სახლში დავიწყე მუშაობა, ავტომატურული ბრიგადის ხელმძღვანელად, 80-იანი წლებიდან კი **ლეო ხუნაშვილი** წავიდა და კულტურის სახლი მე დამიტოვა.

ბავშვობიდან ფარმაცევტობა მინდოდა, საბუთებიც შეტანილი მქონდა, მაგრამ დაოჯახებამ ხელი შემოშალა. თუმცა, მეორე ოცნება მაინც ავიხდინე, რომ გუნდში შემდგარი. ზოგადად, მედიცინა ძალიან მაინტერესებს და მიყვარს, დღემდე ყველა ნამლის სახელი ვიცი, ყველაფრით ვინტერესდები. ეს შვილების აღზრდის პროცესშიც გამომადგა. აფთიაქში რომ შევალ, მინდა ყველა დეტალი ვიცოდე, რთულ სიტუაციებში ვის როგორ დავუხმარო და როდის რა ნამალი მივიღოთ. ასე ვცდილობ, ჩემი ინტერესი დავიკმაყოფილო.

კულტურის სახლში ბევრი რამ ვისწავლე, უძვირფასესი ადამიანი იყო იოსები ძია. ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა და შემეყვარა ეს საქმე, ვიხალისებთ ცხოვრებას. ჩემი მეუღლეც გუნდში გავიცანი, ისიც უკრავს და მღერის. აქედან წამოვიდა ჩვენი სიყვარული. აღარც მიფიქრია სხვა სფეროში მემუშავა, საერთოდ, მუსიკალური ოჯახი მაქვს, შევლოებიც მღერიან. ბოლომდე კმაყოფილი არ ვარ, ადამიანს ყოველთვის უნდა მეტი აკეთოს, რაც შეიძლება მეტი მოასწროს, მაგრამ სოფლის ცხოვრებაში რაც შესაძლებელი იყო, ძალ-ღონე არ დავგიშურებია. დღეს რომ ვიხსენებ, ბევრი თაობა გავზარდე, ყველაზე პირველი მოქმედებდა. დეკრეტის შემდეგ სამი წლის განმავლობაში საბავშვო ბაღში სამუშაოდ გადავედი, მაგრამ ვერ გავძელი. დარბაზიდან პიანინოს და მუსიკის

ხმა რომ მესმოდა, მაშინვე იქ ავდიოდი, იმდენად მენატრებოდა. 1993 წელს ისევ დავბრუნდი კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად. შემდეგ ცუდი წლები დაგვიმთხვა, ომი, უშუქობა და გაჭირვება. მუშაობაც ნელ-ნელა დაძველდა. ვეღარ მოხერხდა რემონტი, თუმცა 2005-2007 წლამდე მაჩხანის სცენა მოქმედი იყო, ყველაფერი დარბაზში ვატარებდით. შევიინარუნეთ ყველაფერი, მაგრამ დრომ თავისი ქნა. შემდეგ ჭერი ისე დაზიანდა და ჩამოსულმა უფშმა ნაღვემაც იმდენად იმოქმედა, რომ დავკეციეთ. ძირითადად დრომ დააზიანა.

პირველი დირექტორი იყო **ალექსანდრე ყიასაშვილი**, შემდეგ იოსებ გოგაშვილი. ძალიან კარგი წლები იყო, შემდეგ **კარლო გოგაშვილი** შექმნა ფოლკლორის გუნდი. ბევრ ადამიანს აქვს წვლილი შეტანილი ამ შენობის განვითარებისა და დაცვის საქმეში. არ შეიძლება ისინი არ ვახსენოთ: **ნიკო მამაიაშვილი, ამირან ნატროშვილი, იოსებ პაპაიაშვილი, ედუარდ ნატროშვილი**, ყველას ვერც ჩამოვლით, ბევრია ასეთი. მინდა გავიხსენო **მარიამ მაძღარაშვილი**, რომელსაც დედების ჯგუფი ჰქონდა, ეზოში მწვანე ნარგავები დარგეს, მორწყვასა და მის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავდნენ.

ძალიან კარგი წლები გავიარეთ, 20 წლის ვიყავი, აქ რომ დავიწყე მუშაობა, უამრავი სპექტაკლი და კონცერტი ტარდებოდა, არ არსებობს ცნობილი მსახიობი, ამ სცენაზე რომ არ ეთამაშა. ჩემი მოსვლის პერიოდში კულტურის სახლს ლევან ხუნაშვილი ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ წლებში აქ დაიდგა ბევრი ცნობილი სპექტაკლი: ანშლაგით ჩატარდა „იეთიმ გურჯი“, „საბრალდებო დასკვნა“, ხშირად ჩამოდიოდა თელავის თეატრი და ჩვენი სოფლის მსახიობი **თემურ ხუნაშვილი**. დღემდე მახსოვს, ამ სცენაზე პირველად რომ წაიკითხა ლექსი, დარბაზი დაინგრა. პირველი ნაბიჯები კარგად მახსოვს, აქ აიდგა ფეხი და შემდეგ დიდ წარმატებებს მიაღწია.

დღეს მართალია სათანადო პირობები აღარ გვაქვს, მაგრამ ისევ აქტიურად მოქმედებს, როგორც ჩვენი თანამშრომლებით დაკომპლექტებული გუნდი, ისე გარე, დამოუკიდებელი ქორეოგრაფიული ანსამბლები. დარბაზი არ გვაქვს, მაგრამ ზოგიერთი ქორეოგრაფი დიდ ოთახებში ატარებს გაკვეთილებს, ზოგიც ფოიეში. ვერცერთი პედაგოგი ვერ იტყვის, რომ ხელს არ ვუწყობთ, მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში გვერდით დავუდგეთ. ანსამბლი „ლაშქრულიც“ ჩვენი სივრცით სარგებლობს.

წლების მანძილზე ლევან ხუნაშვილსაც ჰქონდა ცეკვის ანსამბლი და ბოლო დრომდე ატარებდა გაკვეთილებს. შემდეგ სხვა ქორეოგრაფებიც შემოვიდნენ ჩვენს სოფელში და მათ შორის კონკურენცია დაიწყო. ეს ბუნებრივი პროცესია. მოგეხსენებათ, მშობლები თვითონ ირჩევენ, რომელ ქორეოგრაფთან ატარონ ბავშვები. ჩვენ დაბრკოლებას არცერთ მათგანს არ ვუქმნით და ვცდილობთ, ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით ყველა შემოქმედებით ჯგუფს ხელი შევუწყნოთ. ვისაც სურვილი გამოუთქვამს, რომ ბავშვებს მუშაობა უნდოდეთ, ყოველთვის უსასყიდლოდ ვუთმობდით ჩვენს სამუშაო ოთახებს, რომ მათ რეპეტიციებისთვის სივრცე ჰქონდეთ. ეს შენობა ზემო მაჩხანის კულტურის კერაა და სიძველის მიუხედავად ვცდილობთ, ისევ იყოს მომავალი თაობების სამსახურში. სხვანაირად არც შეიძლება და არც ჩვენ შეგვიძლია. ძალუბს არ ვიშურებთ, თუკი რამე შეგვიძლია.

ბოლო წლებში ნელ-ნელა შენობის რამდენიმე პრობლემა გადაიჭრა, ადგილობრივი ხელისუფლება ეცადა ხელი შეეწყო, ამიტომ იმედი გვაქვს სამომავლო კულტურის სახლის აღდგენა-გალამაზება მოხერხდება“.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილი

მთავარი ქრისტიანული სინდისის მუსლიმი მცველები

საუკუნეების განმავლობაში იერუსალიმში მრავალი მშრანებული გამოიკვალა, უცვლელი მხოლოდ მაცხოვრის საფლავის ტაძრის - ქრისტიანული ტაძრის გასაღების მცველთა საგვარეულოა.

იერუსალიმი. მაცხოვრის საფლავის ტაძარი. თენდება. დილის 4 საათია. ტაძარს შვედურენი მამაკაცი უახლოვდება, უძველეს, მიძიე ხის კარზე დამაგრებულ ძველურ რკინის საკეტს გასაღებს არგებს და ხსენის. ეს ტაძრის მცველია. აღარც კი ასხოვს, რომელი თაობისა. მამაც აქ ტაძრის მცველი იყო, პაპაც და პაპის პაპაც. მისი წინაპრები მემკვიდე საუკუნიდან სახლობენ იერუსალიმში. როცა ხალიფა ომარ იბნ ალ-ხათაბმა ქა-ლაქი დაიპყრო, ქრისტეს საფლავის ტაძრის გასაღები ამ ოჯახს ჩააბარა და იმთავით აგერ უკვე 1365 წელია, აღარც გაუშვიათ ხელიდან. საუკუნეების განმავლობაში იერუსალიმი-მა არაერთ ქარცხლში გამოიარა, სისხლის მდინარეებში განიბანა, დეცა და აღორძინდა, ხელიდან ხელში გადავიდა, მრავალი მშრან-ებული გამოიკვალა... უცვლელი მხოლოდ მაცხოვრის საფლავის ტაძრის - ქრისტიანული ტაძრის გასაღების მცველთა საგვარეულოა, რომლის წარმომადგენელიც დღემდე ყოველ დილას ალგებს სალოცავის კარს: მუსლიმი ვა-ჯიზ ნუსეიბე!

ბავშვობიდან იცოდა, რომ განსაკუთრე-ბული მისიონი დაიბადა. იგი მას ათწლეულე-ბის განმავლობაში შესარულებს, მერე კი ვაჟს გადაულოცავს. მამაკაცები ვაჟის ნუსეიბეს გვარად იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის მცველები არიან. მთავარი ქრისტიანული სინდისის კარს 13 საუკუნის განმავლობაში მუსლიმები იცავენ, ხსნიან და კეცავენ.

ვაჟის ნუსეიბე 1949 წლის აპრილში, იერუსალიმში დაიბადა. სწავლობდა არა-ბულ სკოლაში. დაამთავრა ქალაქ რამალას სიახლოვეს არსებული ბირზეიტის კოლეჯი (ამჟამად უნივერსიტეტი) და 15 წელი იერუსა-ლიმის ერთ-ერთ კერძო კომპანიაში იმუშავა. ფლობს 5 (არაბულს, ინგლისურს, თურქულს, იგრიტსა და ფარსის) ენებს. დაოჯახებულია, შვიკვს 3 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. იერუსა-ლიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის გასა-ღები 1975 წლიდან აბარია.

ვაჟის, თქვენ ხშირად გხედავენ მკდომარ-რეს ხის საკმზე კარიბჭიდან მარცხენა მხარეს ან ეზოში... ეს თქვენი სამუშაო ადგილია?

შეიძლება, ასეც თქვენსა. მიუხედავად იმისა, რომ კარიბჭისთან მუდმივად ყოფნას არავინ მაიძულებს, ბაბუაც და მამაც ამას აუცილებლად მიიჩნევენ. ხანდახან, საკ-მაოდ იშვიათად, ტაძარში ექსკურსიებს ვა-ტარებ, დანარჩენ შემთხვევებში უბრალოდ თაღ-ყურს ვადევნებ შემომსვლელებს. ახლა, მაგალითად, ეზოში სახურავს არემონტებენ, ამიტომაც ვაფრთხილებ ტურისტებს, რომ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილე-ბლად სიფრთხილე გამოიჩინონ. მამაკაცებს, რომლებიც ტაძარში თავსაბურავებით აპი-რებენ შემოსვლას, მათ მოხდას ვიზოვ. ასევე მივმართავ ახალგაზრდა ქალებს, რომლებ-საც თავისუფლად აცვიათ, თავი შეიმოსონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემს მოვალეობაში არ შედის.

თავად თქვენ ჩვეულებრივად გაცვიათ, არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არ გაქვთ...

ტაძრის კარიბჭის მცველებს არანაირი სპეციალური სამოსი ან განმასხვავებელი ნიშანი არ გავაჩნია. ერთადერთი, სადე-სანსაულო დღეებში სამსახურში კლასიკურ კოსტუმში და შალსტუშში გამოწყობილი მი-ვლივარ.

და რაში მდგომარეობს თქვენი ყოველ-დღიური მოვალეობები?

ყოველდღიურად, გამთენიისას ტაძრის კარს ვხსნი. ზამთარში ამას დამის 4 საათზე ვაკეთებ, ზაფხულში - 5-ზე. კარის დაკეტვის პროცედურა კი ზამთრობითი საღამოს 7 სა-ათზე იწყება, ზაფხულობით - 9-ზე. ეს ჩვეუ-ლებრივ დღეებში. მაგრამ, როდესაც დამის სადღესასწაულო ღონისძიებები ტარდება, ტაძარი განსაკუთრებულ რეჟიმში მოქმედებს. მართლმადიდებლებისთვის, მაგალითად, ლი-ტურგია შაბათის დამის 11 საათზე იწყება, და კვირას, დღის 2 საათამდე გრძელდება. ლი-ტურგიაშივე სპეციალურად მოვდივარ კარის გასახსნელად და ღვთისმსახურების შემდეგ მას ისევ ვკეტავ.

როგორ აღმოჩნდა მართლმადიდებლების მთავარი სინდისის კარის გასაღები მუსლიმი ოჯახის ხელში?

638 წელს ხალიფ ომარ იბნ ალ-ხათა-ბის ჯარმა იერუსალიმი ისე დაიპყრო, რომ სისხლის ერთი წვეთიც არ დაუღვრია. მუსლი-მები იერუსალიმს ალ-ქედს - წმინდა ქალაქს უწოდებდნენ და მისი დაცხოვრებლებისთვის ზიანის მიყენება არ სურდათ. იერუსალიმის პატრიარქმა სოფრონიმ ხალიფს ქალაქის მფარველობა სთხოვა, ყველა მისი სინდისი-სა და მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით. ომარი დასთანხმდა. მუსლიმი უზუცელები ამ ტაძარში საპატიო სტუმრების სტატუსით მიიწვიეს. მათ იხილეს ქრისტიანების მთავარი სინდისდებები - გოლგოთა და წმინდა გამო-ქვაბული. პატრიარქმა სოფრონიმ ქალაქისა და ტაძრის გასაღები ხალიფს ჩააბარა, მან კი ჩემს წინაპარს - უბადამ იბნ ალ-სამიტს გადაულოცა, რომელიც პალესტინის პირვე-ლი არაბი მმართველი და ნუსეიბეს ოჯახის

ფუძემდებელი გახლდათ. იმ დროიდან ჩვენი გვარის წარმომადგენელი მამაკაცები ტაძრის კარიბჭის მცველებად მსახურობენ. ასწლეუ-ლების განმავლობაში ეს მოვალეობა ჩვენს ოჯახში მამიდან შვილს გადაეცემა, ხოლო თუ მამას ვაჟი არ ჰყავს - უახლოეს ნათე-სავს, მამაკაცის ხაზით. ბაბუაჩემ ჰუსეინის გარდაცვალების შემდეგ კარიბჭის მცველი მამაჩემი იაკობი გახდა. მე ეს ესტაფეტი 1975 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ გადა-ვიბარე. ის, თუ რა როლს ასრულებს ჩვენი ოჯახი ქრისტიანული სამყაროს მთავარი ტაძრის არსებობაში, ადრეულ ბავშვობაშივე ამისწინს.

უი. ამ კარის გასაღები თქვენი გვარის ხელ-ში 1377 წელია უწყვეტად? ძნელი დასაჯერებე-ლია...

მხოლოდ 1099-დან 1187 წლამდე, რო-დესაც ჯვაროსნების იერუსალიმური სამეფო არსებობდა, ტაძრის გასაღები კათოლიკეების ხელში იყო, მაგრამ 1187 წლიდან ეგვიპტის სულთნის - სალაჰ-ად-დინის ჯარმა იერუსა-ლიმში შემოიჭრა და ყველა კათოლიკეს ხარკის გადახდა და გემებით ევროპაში გამგზავრება შესთავაზა. 1187 წლიდანვე, სალაჰ-ად-დი-ნიმ ბრძანებით ტაძრის გასაღები ჯუდეებების მუსლიმურ ოჯახს ჩააბარდა, მაგრამ კარის გახსნისა და დაკეტვის უფლება, მაინც ჩვენს ოჯახს დარჩა.

როგორ გადასცემენ ერთმანეთს ნუსეიბეს და ჯუდეების ოჯახების წარმომადგენლები ტაძრის კარის გასაღებს და სად ინახება იგი?

დღისით გასაღები ტაძარში, სპეციალუ-რად განსაზღვრულ ადგილზე ინახება, ღამით, ჯუდეების ოჯახში. როდესაც დღითი კარის გასაღებად მივდივარ, გასაღებს მისი წარმო-მადგენელი ადრი მამდევს, საღამოს, კარის დაკეტვის შემდეგ გასაღებს კვლავ მას ვუ-ბრუნებ. ექსტრემალური აუცილებლობის შე-მთხვევებისთვის (მაგალითად, მაღალი დონის სტუმრების ვიზიტის დროს) გვყავს მუსლიმი მსახური, რომელიც ღამეს ტაძრის სიახლოვეს ათევს. მას წინასწარ აყენებენ საქმის კურსში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ, გადასცემენ გასაღებს და კარს გამონაკლისის სახით ის ხსნიან.

ყოველ დილას სომხური ეკლესიისგან 25 შეკვლას (დაახლოებით 6 ევრო) ვიღებ, ამდე-ნივეს მამდევს კათოლიკე-ფრანცისკანელი მსახური. ბრძნული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც ამ ტაძარში ყველაზე დიდი ნილი აქვს, 500 შეკვლას (დაახლოებით 116 ევროს) მიხდის. ჯამით თვეში დაახლოებით 16-17 000 შეკვლი (4 000 ევრო) გამოდის (ეს 1,5-2-ჯერ აღემატება ისრაელის სკოლის პე-დაგოგის საშუალო ხელფასს - რედ). სირიე-ლები, კოპტები და ეთიოპები სტატუს-ქვოს შესახებ 1852-1853 წლების ბრძანებულებით გათავისუფლებული არიან კარის გახსნისთ-ვის დაწესებული გადასახადისგან.

იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის კარის რამდენი გასაღები არსებობს და რა ზო-მისაა ისინი?

ტაძრის რამდენი გასაღები არსებობს - საიდუმლოა. მე ამაზე საუბრის უფლება არ მაქვს. თუმცა არსებობს მთავარი გასაღები, არსებობს სათადარიგო. მთავარი რკინისგანაა დამზადებული და ნახევარ კილოგრამაა იწო-ნის. სიგრძით 30 სანტიმეტრია. საკეტის მსგა-ვსად ისიც ოსმალეთის პერიოდის დასაწყისში, დაახლოებით 1524 წელს არის დამზადებული.

საკეტებზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი?

კვირამი დაახლოებით სამჯერ ვმშენდ ქვედა და ზედა საკეტებს, ვასწორებ ბორბლე-ბს ძველებურ მექანიზმებში, თვალს ვადევნებ რომ არ დაუზანდენ და თავისუფლად მო-ძრაობდნენ. თუ ამ მხრივ პრობლემები იქმნე-ბა, მათ თავად ვაგვარებ. მე ხომ განათლებით იწინერი ვარ და უფრო რთულ ტექნიკასაც თავისუფლად ვუმსწავლავ.

მაგრამ ასეთ უზარმაზარ კარს როგორ უმკლავდებით? საკეტები ხომ დიდ სიმძლავრეზე განლაგებულია...

ჩემთვის ეს დიდი ხანია, ჩვეული საქმეა. ზედა საკეტამდე ასაღწევად სპეციალური კიბით ვსარგებლობ. კარებს სათითაოდ ვა-ლებ - ძალიან მიძიება. ზუსტად არც კი ვიცი, ხის რომელი სახეობისგანაა დამზადებული. დიდი აღბათობით, ძირითადი მასალა მუხაა, სხვა მყარი ჯიშების დამატებით - ასე უფრო სახდა. ბოლოს კარები 1808 წელს, ხანძრის შემდეგ შეკვალეს. შიდა მხრიდან რკინით და-ფარეს. კარის მარჯვენა ნახევარზე, მინიდან დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე თუ-ჯის რგოლია ჩამონტაჟებული. ამ რგოლით კარზე სამჯერ ვაკაუნებ და ამით ვიძლევი ნიშანს, რომ დროა, მომლოცველებმა ტაძარი დატოვონ. ზამთარში პირველად საღამოს 7 საათზე ვაკაუნებ და შემდეგ ტაძრის სივრ-ცეს ათავალიერებ, მეორედ - ნახევარ საათი-ში, ბოლოს - 19:45 საათზე. 20:00 სთ-ზე მას შემდეგ, რაც ტაძარს დადგენილი ტრადიციის თანახმად უკანასკნელები მართლმადიდებელი ბერძნები დატოვებენ, კარს ვკეტავ და გარე-დან კლიტეს ვადებ.

აღგომის პერიოდში ალბათ, საქმე გემატე-ბათ...

დახ, რა თქმა უნდა. მთავარი ამოცანაა, არ მოხდეს ჩყლეტა. როდესაც ათასობით მომლოცველი გროვდება, პოლიციას ხალხის ნაკადების მართვაში ვეხმარები. დილით, იმ დღეს, რომელსაც მართლმადიდებლები „დიდ მშაბათს“ უწოდებენ, კუკუკის ჯეს არის

უშუალოდ ქრისტეს საფლავის თავზე მდგომი კომპურა-რედ) შემონების პროცედურა ტარ-დება ცეცხლის გარე წყაროების არარსებო-ბის დასადასტურებლად. წმინდა ცეცხლი ხომ სწორედ აქედან გადმოედინება. ამის შემდეგ ბერძნები წმინდა გამოქვაბულში შესასვლელს კეტავენ და მე შესასვლელ კარს ცვილის დიდ ბეჭედს ვადებ. იერუსალიმის მერიის წარმო-მადგენლები მას საკუთარ დალებს ასვამენ იერუსალიმის მერიის თურქული დაცვის, ისრაელის პოლიციის წარმომადგენლები და ნახევარ საათში არაბი მართლმადიდებელი ახალგაზრდობა (არაბებს შორის კი საკმაოდ ბევრია სხვადასხვა კომფრისის ქრისტიანი) ყოყინითა და დაფდაფების ცემით შემოიძის ტაძარში და იწყებს სიმღერას, ცეკვასა და ლოცვას წმინდა ცეცხლის გარდამოსვლისთ-ვის.

იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძა-რი ქრისტიანული ეკლესიის ექვს კონფესიას შორის არის გადახანგრძობული. თითოეულ მათგანს ლოცვისთვის გარკვეული საათები გამოეყო. ეს დაყოფა, როგორც სტატუს-ქვო 1852-1853 წლებში განმტკიცა თავისი ბრძა-ნებულებებით ოსმალეთის იმპერიის სულთან-მა აბდულ მეჯიდმა. თავად რეგლამენტაცია სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის უფლება-მოვალეობების თემზე გამუდმებუ-ლი დავების გამო იქნა შემოღებული. შესა-ბამისად, სტატუს-ქვოს დაცვა ქრისტიანებს შორის მშვიდობისა და პარიტეტის წინაპირო-ბაა. მისი შენარჩუნების მაგალითის წარმოად-გენს ის ფაქტი, რომ უკვე 180 წელზე მეტია არავის უხლია ხელი ხის კიბისთვის, რომელიც შენობის ფასადის მხრიდან მეორე სართულ-ზეა განთავსებული და მიდის სომხური ეპარ-ხის კუთვნილი ფანჯრისკენ, მაგრამ ეყრდ-ნობა კარნისს, რომელიც ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნის. არავინ იცის, რა აღმსარებლობის იყო ადამიანი, რომელმაც აქ ეს კიბე დატო-ვა და როდის მოხდა ეს, თუმცა 1834 წლის გრავიურაზე კიბე უკვე არის გამოსახული. სადღესობა უძრავი კიბე სიმბოლოა შიდა შე-თანხმების შესრულებისა, რომლის თანახმად, ტაძარში ექვსეუ კონფესიის თანხმობის გარე-შე არაფერი უნდა შეიცვალოს.

მუსლიმური რწმენა ქრისტიანულ ტაძარში მუშაობაში ხელს არ გიშლით?

მე სწინტი მუსლიმი ვარ, პალესტინელი და ამით ვამაყობ. შექლებისდაგვარად მუსლიმი-ბისთვის წმინდა დღეს, პარასკევს სალოცავად დავდივარ სატაძრო მთაზე ქუბათ ას - სახრას მჩქნობი. იერუსალიმის უფლის საფლავის ტა-ძრიდან რამდენიმე ნაბიჯში ალ-აქსას მეჩე-თია განთავსებული, რომელსაც ამ ადგილზე მლოცველმა ხალიფმა ომარ იბნ ალ-ხათაბმა ჩაუყარა საფუძველი. ხანდახან აქ ვლოცუ-ლობ. ჩემი საცხოვრებლის გვერდზეც ვაკაქვს მეჩეთი.

ს ს შ ა დ ა ს ს შ ა

ზაზა პოპიაშვილი

შენ ოცდაშვიდი გაზაფხული იკმარე მხოლოდ!

მეჩვიდმეტედ... ფიქრიც კი მზარავს, რომ ასე უნდა ველოდო სიცოცხლის ბო-ლომდე, თუ რამდენი გაზაფხული მოვა უშენოდ, ჩემო ზაზა.

ქრისტე აღსდგა, ზაზა! მეჩვიდმეტედ ვხვდებით აღდგომას უშენოდ, შვილო. 17 წლის წინ, 24 აპრილს, აღდგომის ბრწყი-ნვალე დღესასწაულის, ბრწყინვალე შვი-დეულის პირველსავე დღეს, უფალმა მიი-ბარა შენი ღამაზი სული.

17 წლის წინ სიყვარულს, სიცოცხლეს აფრქვევდი, ყველა გვიყვარდა. შენს ლა-მაზ ცოლ-შვილს ვფერებოდი, რას წარ-მოვიდგენდი, რომ ასეთი ხანმოკლე აღ-მონღებოდა შენი სიცოცხლე.

გყავდა ერთგული მეუღლე და ანგე-ლოზი შვილი. ათას გეგმებს აწყობდით სამომავლად, მაგრამ უღმობელმა სიკე-დილიმა აღარაფერი გავლას. ამ ქვეყნიდან მაშინ ნახვედი, როცა შენს საყვარულ ნა-თიას და შენს პატარა ლიკას ასე სჭირ-დებოდი. სად გექებო, ჩემო ძვირფასო? ცაში რომელი ვარსკვლავის ციმციმი მი-ვამსგავსო შენი ღამაზი, მწვანე თვალე-ბის ბრწყინვას? ჰაერის რომელი მხრიდან ჩამოქოროლება ეგონოს დედას შენი მოფე-რება?

მხოლოდ 27 წელი, მარად ახალგაზრ-დობა, ასეთია ბედისწერა. რატომ? ამას ვერავინ პასუხობს, რადგან ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მიგიჩინა ად-გილი.

დედ-მამის მწუხარება უსაზღვროა, არანაირი გასაჭირი არ უტოლდება შვი-ლის დაკარგვას, შვილისა, რომელმაც სიყვარულისა და სიცოცხლის ფასი ასე კარგად იცოდა.

17 წელი დედას აღარ უნახიხარ, შვი-ლო. შენთვის დანთებული ყველა სან-თელი ცრემლიანია, მოგიკვდეს დედა. შენი სული მფარველ ანგელოზად მოუ-

და შორსა თქვენი სახლი სამსახურისგან?

იგი ძველი ქალაქის ფარგლებში, იორ-დანიული ჩრდილო-აღმოსავლეთ კარიბჭის სიახლოვეს მდებარეობს, სამსახურიდან 10-15 წუთის სავალზე. თავად სახლი 400-ზე მეტი წლისაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას-ში ნუსეიბეს გვარის წარმომადგენლები სახ-ლობდნენ. უკვე 35 წელია, მასში ჩემს ერთა-დერთ მეუღლესთან ერთად ცხოვრობ. ოთხი შვილი გყავს - სამი გოგო და ერთი ვაჟი - უფადი, რომელიც ახლა 31 წლისაა. ბავშვები უკვე დაქორწინებულნი არიან, მყავს ორი შვილიშვილიც. უფადი, რომელიც ტაძრის გა-საღებს ჩემს შემდეგ გადაიბარებს, ჩემს გზას გააყვას - განათლებით იწინერია და კერძო კომპანიაში მუშაობს. როდესაც პრობლემები იქნება, მაგალითად ავად ვხვდები, ჩემს საქმეს ის ასრულებს. ასევე მხმარება დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში კარის გახსნა-დაკეტვანი.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ტა-ძრის მფლობელ ექვს ქრისტიანულ კონფესი-ებს შორის კონფლიქტი ხდება. თუ ყოველი შემთხვევები, როდესაც მათ მოგვარებაში მიგი-ლიათ მონაწილეობა?

ყველაფერი მომდარა. ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც აღგზნებულები ქცევის ეთიკური ნორმის ფარგლებს გასცდნიან. ამა-ყი ვარ იმით, რომ ჩემს აზრს ითვალისწინებენ და კონფლიქტი მშვიდობიანად მთავრდება. მე ექვსეუ კონფესიის წარმომადგენლებთან ერთ-ხაირი ურთიერთობა მაქვს.

ტურისტები თუ გასაჩუქრებენ?

ხანდახან თავიანთი ქვეყნების მონეტებს მწუქნიან ექსკურსიის ჩატარების საფასურად. მე მათ ჩემს კოლექციამ ვაგროვებ. ჯერ კი-დევე ბავშვობაში, როდესაც ძველი ქალაქი იერუსალიმი იორდანის ჰამიტიტური სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა, არაბული ქვეყნების მონეტებს ვაგროვებდი. ეს შობი დღემდე შე-მომრჩა. ახლა შემიძლია, მაჯის საათების შე-გროვებაც დავეწყო. უკვე ათზე მეტი მაჩუქეს.

შეუბნებები თუ გაქვთ?

დახ, ჩემი სამსახური ადგილზე ფაქტო-რზად მუდმივ წარმოდგენილობას მოითხო-ვს, თუმცა, ხანდახან მაინც ვახერხებ ქალაქი-დან გარკვეული დროითი გასვლას. მომხრე ვარ იმის, რომ არავინ არავის უთითებდეს, სად და ვისთვის ილოცოს, რა არის ჭეშმარიტება, რომ მორწმუნებები მთელი გულით ლოცულობდნენ, ჩარევის, ძალის გამოყენებისა და რელიგიური შეუწყნარებლობის გარეშე. მჯერა, რომ იერუ-სალიმში ადგილი ყველასთვის მოიძებნება.

მოაზნადა სამუნა პანაშვილი



ვლინე შენს ცოლ-შვილს. ჩემო ზაზა, შენს ლიკას ხომ სიზმარივით ასხოვხარ. ის მხოლოდ 4 წლის იყო. ახლა 22 წლის არის შვილი, მესამე კურსის სტუდენტია, გენაცვალოს დედა.

რაც დრო გადის, უფრო მიჭირს უშე-ნობა, ვერ ვგვუბნი ამ აზრს, რომ აღარ მყავხარ, უზომოდ მიწაბრები ჩემო ზაზა. ყველაფერი ისევ სიზმარი მგონია და მინ-და, ერთ დღესაც გავიღვიძო, დაგინახო, გულში ჩავიკრა, მოგვეფრო, დაგიკოცნო ღამაზი თვალები და გითხრა: „ძალიან მომენატრე ჩემო სიცოცხლე, მიყვარხარ და აღარ მიმატოვო-მეთუი“. ძალიან მე-ნატრები, შვილო და ისეთი ძლიერია ეს მონატრება, რომ თავს ვეღარ ვერევი, გიხმობ, გეძახი, მაგრამ არ მასაუხობ. სი-ცოცხლე სასჯელად მიქციე შვილო. შენი ძმა ფრთამოტყნილი ჩიტვით დადის, ძა-ლიან უყვარხარ და ენატრები. შენს სი-ყვარულს შენს შვილში იკლავს.

შენს მშობლებს, შენს ახლობლებს, მეგობრებს ისლა დაგვრჩენია, გავისხე-ნოთ შენთან დაკავშირებული ყოველი ღამაზი წუთი, მოვადეთ შენს საფლავზე, მოვეფეროთ შენს ღამაზ სევდიან თვა-ლებს, ავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენი ღამაზი სულისთვის.

შენი ოჯახი

„უსიყვარულოა ჩვენი საზოგადოების მთავარი პრობლემა“

კახეთში „ჭუმანური ლიდერების“ შეხვედრა დასრულდა. პედაგოგ მალვა ამონაშვილის მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია „ჭუმანური საქართველო“ ყველა რაიონის წარმომადგენელს აერთიანებს. დედოფლისწყაროდან ამ ჯგუფში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა დეპუტატი ლელა ჭინჭარაულია წარმოდგენილი. 63-ივე რაიონის ჭუმანურმა ლიდერმა თავი მოიყარა კახეთში და მოსწავლეთა აღზრდის მიზნით მიდგომების გაუმჯობესებაზე იმსჯელა. გაზეთი „პირაქი“ დედოფლისწყაროს წარმომადგენელს ლელა ჭინჭარაულს გაესაუბრა.



ლელა ჭინჭარაული: „2022 წლის 27 ოქტომბერს მალვა ამონაშვილის ინიციატივით დაარსდა ორგანიზაცია „ჭუმანური საქართველო“, რომელიც მთელი საქართველოდან 63 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია გაერთიანებული. როდესაც ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე ფიქრი დაიწყო, პირველ ეტაპზე შეირჩენ რეგიონის ხელმძღვანელები, ხოლო რეგიონის ხელმძღვანელებმა მოგვიანებით სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან თითო პედაგოგი შეგვარჩიეს. თუმცა, შესარჩევად არ ყოფილა კონკურსი, ან რამე მსგავსი პროცედურა. წევრები რეკომენდაციებით ორი წლის ვადით ვართ არჩეულნი. ამ ჯგუფში მოხვედრა ჩემთვის საინტერესო იყო, რადგან ბატონი მალვა, ისევე როგორც ჩემთვის, ვფიქრობ ქართველების უმრავლესობისთვის გამორჩეული ფსიქოლოგი და პედაგოგია. მის სემინარებს ხშირად ვუსმენდი ინტერნეტის საშუალებით და ძალიან გამიხარდა, როდესაც დამირეკეს და მისი გუნდის წევრობა შემომთავაზეს. მასთან ურთიერთობით, პირადი საუბრებით და იმ კითხვებზე პასუხების მოსმენით, რაც სულ მაინტერესებდა, კიდევ უფრო მეტს ვსწავლობ. მე თავადაც პედაგოგი ვახლავარ და მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა გავიზიარო მისი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება. დიდი იმედი მაქვს, რომ მისი ფექტიური სწავლებებიდან მცირედის შესრულებას მაინც შევძლებ სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში.“

8-9 აპრილს „ჭუმანური საქართველოს“ წარმომადგენლებს შორის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა თელავში, სოფელ ბუშეტში, ამონაშვილების ცნობილ კარმიდამოში. ამ ტერიტორიაზე მოწყობილია საბავშვო ბანაკები, სადაც ბავშვები მშობლებთან ერთად ჩამოდიან ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, აქ რჩებიან 10 დღის განმავლობაში, ერთობიან და სწავლობენ უამრავ რამეს. ახლა უკვე შესაძლებელია ქართველი ოჯახების მიღებაც. ორ დღიანი შეხვედრის მანძილზე ვისაუბრეთ ჩვენს მუნიციპალიტეტებში პედაგოგიკის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, პრობლემებსა და გამოწვევებზე. ასევე განვიხილეთ რა იდეების, გეგმების განხორციელება შეიძლება, რომ ბავშვები არამხოლოდ სწავლით დაეინტერესოთ, არამედ მეტად ჭუმანურები და ტოლერან-

ტულები გავხადოთ. ამისთვის კი მათ პედაგოგებისგან სიყვარული და პირადი მაგალითი სჭირდებათ. ღონისძიების ბოლოს საქართველოს კონსტიტუციის ფორმის მიწის ნაკვეთზე დავრგეთ თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი წარგავები. კახეთის წარმომადგენლებმა დავრგეთ სხვადასხვა ჯიშის ვაზები, გურულებმა ჩაი და თხილი, აჭარალებმა სხვადასხვა ციტრუსი, მეგრელებმა ნიჟარ ნიგნში შეტანილი მუხის წერტი ჩამოიტანეს და ა.შ. ღონისძიებაზე 63 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი იმხენდა მალვა ამონაშვილის და მისი შვილის - პატას სემინარებს, დავგვემეთ მომავალი ღონისძიებები და აქტივობებიც.

- რა შედეგს მოიტანს ჭუმანური მეთოდების გაძლიერება სკოლებში?

- ჭუმანური პედაგოგიკის მიზანია ბავშვს კი არ ემინოდეს მასწავლებლის, არამედ უყვარდეს ის. მასწავლებლის და ორიანის შიშით კი არ სწავლობდეს გაკვეთილს, არამედ მოეხერხებოდეს მისი დაინტერესება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რომ თავად გაუჩნდეს სწავლის სურვილი და ინტერესი. გავზარდოთ სამშობლოზე და ეროვნულ ღირებულებებზე შეყვარებული თაობა, რომელსაც ეცოდინება თავისი ქვეყნის ისტორია, იქნება ჭუმანური მოსწავლე და ადამიანი, რომლისთვისაც უცხო იქნება სიძულივილის ენა. სამწუხაროდ, უსიყვარულოა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რაც, ვფიქრობ, სწორედ მომავალი თაობის სწორი, ჭუმანური აღზრდით გადაიჭრება.

მალვა ამონაშვილი არის პედაგოგი, ფსიქოლოგი და საქართველოში ჭუმანური პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 92 წლიანი ცხოვრების მანძილზე მან თავი მთლიანად განათლებაზე ზრუნვას მიუძღვნა და საკუთარი მაგალითით ბევრის და მტკიცება შეძლო. ცნობილია, რომ დაწყებით კლასებში ის ოროსანი მოსწავლე იყო, არ აინტერესებდა სწავლა, მეცადინეობა, მაგრამ მისი ცხოვრება მისმა მასწავლებელმა სრულიად შეცვალა. მან პატარა მალვას სწავლის მნიშვნელობა დაანახა და თამაშ-თამაშით, საინტერესო აქტივობებით და თბილი მიდგომით სწავლის ინტერესი გაუღვივა, რის შემდეგაც ის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული მოსწავლე გახდა და სკოლა წარმატებით დაამთავრა. პირადმა მაგალითმა მას დაანახა რამხელა ძალა



- ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ვარ. ასევე ვმუშაობ ორ კომისიაში: სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში თავმჯდომარის მოადგილის პოზიციას ვიკავებ, ხოლო ოურიდიული კომისიის წევრი ვარ. საკრებულოს წევრობა მაძლევს შესაძლებლობას, ჩავეროთ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროცესებში და გადაწყვეტილებების მიღებაში. ვფიქრობ, პოლიტიკაში მეტი ქალის ჩართულობა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის. რიგ შემთხვევებში ქალებს სხვადასხვა საკითხებზე მამაკაცებისგან განსხვავებული მოსაზრებები გვაქვს, პრობლემის გადაჭრის და მოგვარების გზებზე. საკრებულოს წევრობის პარალელურად ვარ „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის კახეთის გამგეობის წევრიც. ვცდილობთ, ქალებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის გაზრდას. ჩვენ გვქონდა საკმაოდ აქტიური კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, გასული წლის ოქტომბერში ჩავატარეთ „ვარდისფერი ოქტომბრის“ მასშტაბური კამპანია მკერდის კიბოს შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შესახებ. გვექონდა უფასო სკრინინგი, მოსახლეობის ექიმებთან საინფორმაციო სახის შეხვედრები, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება და ა.შ. სულ ახლახან კი მარტის თვეში შეუერთდით „ლურჯ მარტთან“ დაკავშირებულ საქართველოს ყველა რაიონში მიმდინარე კამპანიას. ლურჯი მარტი არის სწორი

ნის ინტერესები დგას, რის გამოც არაერთი წინააღმდეგობის გადატანა უწევთ. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ისეთი პატრიოტი და საკუთარ ქვეყანაზე პრინციპულად მზრუნველი მმართველი, როგორც პრემიერი ირაკლი ლარიბაშვილია, ჩვენს ქვეყანას დიდი ხანია არ ჰყოლია. ნათლად ჩანს, რომ მმართველი პარტიისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორია, ტრადიციები და სარწმუნოება.

- როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლო ხელისუფლებამ დაპირებების შესრულება დედოფლისწყაროს მაგალითზე?

- ვფიქრობ ჩვენი რაიონის 2012 წლამდე და მისი შემდგომი მდგომარეობა ნათლად ცხადყოფს წინა და ახლანდელი ხელისუფლების მმართველობებს შორის განსხვავებას. ყველას გვახსოვს ის აურაცხელი პრობლემები, რაც მამინი გვექონდა: მოუწესრიგებელი გზები და ინფრასტრუქტურა, მოუწყობელი და ფასიანი საბავშვო ბაღები, რის გამოც არაერთი მშობელი იკავებდა თავს, ან გადასახადებამ ვერ ახერხებდა ბავშვის ბაღში შეყვანას. ქედების ზონა საერთოდ მივინწყებულ იყო ცენტრალური თუ ადგილობრივი მთავრობისგან. დღეს ვითარება რადიკალურად გაუმჯობესებულია. მოქმედი ხელისუფლების პირობებში უამრავი რამ გაკეთდა, რასაც, ვფიქრობ, მოსახლეობაც კარგად ხედავს. ბოლო წლების სიკეთებზე საუბარი ძალიან შორს წავიყვანს, მაგრამ რამდენიმე მათგანს გამოვიყოფ. წლების განმავლობაში ვიმუშავე საბავშვო ბაღში, მათ შორის ხელმძღვანელის პოზიციაზე და არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ყურადღება და მზრუნველობა, რაც ბავშვების მუნიციპალიტეტიდან აქვთ. სწორედ ამ მთავრობის პირობებში გახდა საბავშვო ბაღები უფასო, რის შემდეგაც თითქმის გასაძვინჯა ალსაზრდელების რაოდენობა. ბავშვებს მიენიშნებოდათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, აქვთ ყველაფერი იმისთვის, რომ სწავლება მათთვის სასიამოვნო და საინტერესო გარემოში წარიმართოს. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა რამდენიმე სკოლას, შენდება ახალი სკოლები. ახლახანს გაიხსნა საბავშვო ბაღი უკიდურეს აღმოსავლეთში - სოფელ საბათლოში. დასრულდა სოფლებთან მისასვლელი მოასფალტებული გზების მშენებლობა და გრძელდება სოფლების შიდა გზების მოასფალტება. სოფლებში შიდა გზების მოასფალტება სწორედ მოქმედა ხელისუფლებამ დაიწყო. მოხდა ქედების ზონის სოფლების გაზიფიცირება და გზებით უზრუნველყოფა. დღითიდღე მშენდება და ლამაზდება ჩვენი რაიონი. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რაც ამჟამად ჩვენს მოსახლეობას ისევ აწუხებს - უწყლობაა. ეს პრობლემა კი, როგორც ვიცი უახლოეს მომავალში გადაწყდება და ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა გადაიჭრება.

ესაუბრა ილია პარტყოფლიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება ფუტკრის ლაფეტი თავისი მონყობილობით. ფასი შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომერზე:

☎ 595 24 26 13



აქვთ პედაგოგებს და მას შემდეგ ცდილობს საქართველოში ჭუმანური, ბავშვებზე მორგებული პედაგოგიკის დამკვიდრებას.

ქართული და ინგლისური ენის ფილოლოგი ვარ, ამჟამად მაგისტრატურაში ვსწავლობ. წლების განმავლობაში ვმუშაობდი საბავშვო ბაღში და მქონდა ბავშვებთან ურთიერთობა, სკოლაში მუშაობა კი ახალი დაწყებული მაქვს. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რომ ამ ორგანიზაციაში მოვხვდი.

- უკვე მეორე წელია, რაც დედოფლისწყაროს საკრებულოში დეპუტატის მანდატი მიიღეთ, რის საშუალებას გაძლევთ საკრებულოს წევრობა?

და მსხვილი ნაწლავის სიმსივნის შესახებ ცნობიერების ამაღლების თემა. „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის კახეთის გამგეობის წევრმა, თავადაც ექიმმა ეკა ონიკაძემ ექიმებთან ერთად ისაუბრა ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებზე და მათ ხელმისაწვდომობაზე.

- რატომ ხართ ამ პოლიტიკურ პარტიაში?

- მმართველი პარტიის ღირებულებები და პრიორიტეტები მათი პოლიტიკაში გამოჩენისთანავე მომენონა. ამ გუნდის ახალგაზრდულ ფრთას ვერ კიდევ 2012 წელს შეუერთდი. ვფიქრობ, მმართველი პარტიისთვის ყველაფერზე წინ ჩვენი ქვეყ-

ა პ რ ი ლ ი				დ ე დ ო ფ ლ ი ს ც ყ ა რ ო			
ორშაბათი 24.04	სამშაბათი 25.04	ოთხშაბათი 26.04	ხუთშაბათი 27.04	პარასკევი 28.04	შაბათი 29.04	კვირა 30.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21°	11°	21°	9°	23°	11°	22°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია პარტყოფლიშვილი**
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანჭანაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მწეველი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწეველი); მზინა ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი